ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

СССР · СССР · ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 285 (19726) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ 11 დეკემბერს გამართულ სხდომაზე განიხილა საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ მუშაობენ სოციალისტური საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტზე, რომელიც პარტიის XXVII ყრილობის მითითებათა შესაბამისად მზადდება. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ასეთი კანონის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება მართვის სისტემის ღრმა გარდაქმნის განხორციელებაში, მისი დემოკრატიული საწყისების ყოველმხრივი განვითარების, შრომითი კოლექტივების სოციალისტური გერგილიანობისა და პასუხისმგებლობის გაზრდის, ადამიანის ფაქტორის გაქტიურების საქმეში.

კანონის პროექტში დასახულია განისაზღვროს საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო დამოუკიდებლობის, მართვის ეკონომიკური მეთოდების ფართო გამოყენების, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ფართო გამოყენების საფუძვლები, ზემდგომ სამინისტროებთან და უწყებებთან, საგეგმო, საფინანსო და მართვის სხვა ორგანოებთან, სახალხო დეპუტატთა დამოკიდებულ საბჭოებთან საწარმოთა ურთიერთობის პრინციპები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომითი კოლექტივების გაქტიურებას, სსრ კავშირის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზაციას. კანონის პროექტში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს შრომითი კოლექტივების, სოციალური განვითარების, მათი თვითმმართველობის საკითხები. მიიწონა რა სოციალისტური საწარმოს შესახებ კანონის პროექტის მომზადების ძირითადი მიმართულებანი, პოლიტბიუროომ მიზანშეწონილად ცნო განაგრძოს ეს მუშაობა, მხედველობაში აქვს რა აღნიშნული კანონის პრინციპული მნიშვნელობა პარტიის იმ კურსის განხორციელებისთვის, რომლის მიზანია საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარება.

განიხილა რა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი, პოლიტბიუროომ აღნიშნა, რომ მრავალი შრომითი კოლექტივისა და საბჭოთა არმიის მეომრების თავდადებული მეცადინეობის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად დამთავრდა ამ სამუშაოთა მნიშვნელოვანი ეტაპი. უზრუნველყოფილია დაზიანებული ბლოკის დამცავ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემა, აგრეთვე ელექტროსადგურის პირველი და მეორე ენერგოაგრეგატების ამოქმედება. დაწვრილებითი ცნობა ამ საკითხზე პრესაში გამოქვეყნდება.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მეცხოველეობაში სანაშენე საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში დასახულია სამუშაოთა პროგრამა, რომლის მიზანია პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიული თვისებების შემდგომი გაუმჯობესება, ახალი დიდპროდუქტიული ჯიშების შექმნა, ჯიშთასაშენებლების, მეურნეობებისა და ფერმების ქსელის გაფართოება და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება. ამ პროგრამის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება საკვებწარმოების ინტენსიფიკაციას, გენეტიკის, სელექციისა და ბიოტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევათა გამოყენებას. ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ გაფართოთონ ჯიშთასაშენე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნის პრაქტიკა, ამასთან მათს შემადგენლობაში შეიყვანონ შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებანი, საასელექციო ცენტრები, სანაშენე მეურნეობები და სხვა საწარმოები.

პოლიტბიუროომ მოისმინა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. რენოვიცას მეთაურობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მოლაპარაკების შესახებ. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოლაპარაკებას ორი პარტიის ურთიერთგაგებისა და ნდობის გაღრმავებისათვის. შეიქმნა პოლიტიკური წანამძღვრები, რათა კიდევ უფრო სტაბილურად განვითარდეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა, გამდიდრდეს იგი, თანამედროვე ფორმებით, განმტკიცდეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობა უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრობის წინაშე მდგომი სხვა გლობალური პრობლემების გადაწყვეტისთვის ბრძოლაში. მიღწეულ მორიგებათა გათვალისწინებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ კონკრეტული დავალება მისცა ორგანიზაციებსა და უწყებებს.

განიხილეს ნორვეგიის პრემიერ-მინისტრთან, ნორვეგიის მუშათა პარტიის თავმჯდომარე გ. ჰარლემ ბრუნდტლანდთან საბჭოთა ხელმძღვანელობის საუბრების შედეგები. აღინიშნა რომ საუბრების დროს გამოვლინდა მნიშვნელოვანი ურთიერთგაგება განიარაღებისა და ევროპის უშიშროების ძირითად, ყველაზე აქტუალურ პრობლემებში, აგრეთვე გარემოს დაცვის საკითხებში. დადასტურებულია მისწრაფება განავითაროონ სსრ კავშირისა და ნორვეგიის ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობა და ნდობა და გააფართოოონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ნორვეგიის მუშათა პარტიის თანამშრომლობა.

მოისმინეს ამხანაგ ვ. პ. ნიკოლოვის ინფორმაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი მოგზაურობის შედეგების შესახებ, რომელიც დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნების აღოსმარეველო კომპლექსს შორის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განხილეს აგრეთვე ქვეყნის საშინაო ცხოვრების, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ-ᲛᲝᲠᲬᲝᲕᲔᲚᲘᲡᲐ 1987 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐᲜ

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის დონის ამაღლების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგში ბრიგადული იჯარის 100 პროცენტით დანერგვის შედეგად მთლიანი პროდუქციის წარმოება 1986 წელთან შედარებით გაიზრდება 10 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 1 პროცენტით და შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 1,5 პროცენტით. თავთავიანი კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობა მიაღწევს 35 ცენტნერს, წინა ხუთწლედში საშუალოდ მიღებული 28 ცენტნერისა და 1986 წელს მოწეული 20 ცენტნერის ნაცვლად. გეგმის გადამეტებით ვაწარმოებთ 3 ათას ტონა მარცვლეულს.

საშუალო ჰექტარობრივ მოსავლიანობას მევენახეობაში 73 ცენტნერიდან ავიყვანთ 80 ცენტნერამდე. სახელმწიფოს მივყიდით 4 ათას ტონა ზეგეგმით ყურძენს. თითოეული ფურის საშუალო წველადობა 1986 წელთან შედარებით გაიზრდება 130 კილოგრამით და მიაღწევს 2360 კილოგრამს. თითოეულ ცხვარზე მივიღებთ 3,10 კილოგრამ მატყლს, ნაცვლად 3 კილოგრამისა, 1 მოქეთეულზე 175-ის ნაცვლად 180 ცალს კვერცხს. რძის წარმოება გაიზრდება 500 ტონით. სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის ხუთწლედის ორი წლის გეგმას შევასრულებთ 1987 წლის 7 ნოემბრისათვის. საკვების ხარისხის გაუმჯობესებით საკვების დანახარჯებს შევამცირებთ 0,5 პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის წარმოება წინა წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზრდება, აქედან სახალხო მოხმარების პროდუქციისა — 5 პროცენტით. პროდუქციის წარმოების მატების 10 პროცენტი მიღწეული იქნება ნედლეულის, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიით.

შრომის ნაყოფიერება გადიდდება 1,5 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 1 პროცენტით.

რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება განხორციელდება საწარმოთა 10 პროცენტში, განახლდება მოწყობილობის 5 პროცენტი. 20 პროცენტამდე შემცირდება ხელის შრომა.

გაიზრდება: ტვირთზიდვა 20 პროცენტით, პარკის გამოყენების კოეფიციენტი 0,2 პროცენტით, შემოსავალი 2 პროცენტით. სარკინიგზო ტრანსპორტზე ვაგონების მოცდენა შემცირდება ნორმასთან შედარებით 1 საათით. სოფელ სამთაწყაროში აშენდება 100-ნომრიანი სატელეფონო სადგური. სოფელ ზემო მაჩხაანის და არხილოსკალოს სატელეფონო სადგურები გაფართოვდება და შეუერთდება წითელწყაროს ავტომატურ სადგურს.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოწყობილობა გაიზრდება 10 პროცენტით, კადრების დენადობა შემცირდება 15 პროცენტით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსწავლეთა შრომითს აღზრდას, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებისა და სახელოსნოების მიზნობრივ გამოყენებას.

გაფართოვდება საზოგადოებრივი კვების ქსელი. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტები ორი ერთეულით გაიზრდება. გეგმა 25 დეკემბრისათვის შესრულდება.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება 1986 წლის ფაქტობრივ მომსახურებასთან შედარებით გაიზრდება 40 ათასი მანეთით და საგეგმო დავალება — 500 ათასი მანეთი — 25 დეკემბრისათვის შესრულდება. წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 0,5 პროცენტით.

მოეწყობა მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, კეთილმოეწყობა ქალაქის, სოფლის გზები, გაუმჯობესდება მოძრავი სამედიცინო ჯგუფების გასვლა ფერმებსა და ბრიგადებში.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ.

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲜᲐ�პᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ

აბაშის რაიონის სუჯუნის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმა კარგა ხანია მომგებიანი გახდა. წლეულს მეცხოველეებმა ივალდებულეს ეწარმოებინათ 391 ტონა რძე, თითოეულ ფურზე საშუალოდ მიეღოთ 2330 კილოგრამი. ნაკლისი ვალდებულება იანვარ-ოქტომბერში შესრულდა. ფერმის მუშაკები მეორე თვეს 1987 წლის იანვარიშზე მუშაობენ. ათ თვეში მიღებულია 405 ტონა რძე, საშუალოდ თითოეულ ფურზე 2669 კილოგრამი. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოწველილია 97 ტონით მეტი რძე. გეგმის შესრულებასთან ერთად ყურადღება ექცევა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. შარშანდელთან შედარებით 73 კაპიკით გაიაფდა ცენტნერი რძის წარმოება.

წარმატება განაპირობა მონდომებამ, ნახირის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებამ, მექანიზაციის დანერგვამ, გაუმჯობესდა ზოოვეტმომსახურება, მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობები.

ყოველმხრივ მომზადებული შეხვედით ზამთარს, ჩადებულია 3.500 ტონა სილოსი. დავამზადეთ 730 ტონა თივა, 380 ტონა სენაჟი, უხვად გვაქვს უხეში საკვები, კეთილმოწყობილია პირუტყვის სადგომები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ ზამთარშიც შეინარჩუნოთ წველადობის მაღალი დონე. — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ლუკი ჯალაღონიამ.

ᲘᲕ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.

ᲛᲔᲪᲔᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

თერჯოლა. (საკ. კორ.). რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ყველაფერი იღონეს მეცხოველეობის მტკიცე საკვების ბაზის შექმნისათვის და საჭირო რაოდენობითაც დაამზადეს საკვები. ახლა გაძლიერდა კონტროლი ულუფის დაცვისადმი, გაიზარდა მეცხოველეთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, რის შედეგად საშუალო წველადობამ იანვარ-ნოემბერში გეგმით გათვალისწინებულს 114 კილოგრამით გადაამეტა. გაიზარდა პირუტყვის სადღეღამისო წონამატება.

შედეგი დამაჯერებელია. წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის 11 თვის დავალებები: გეგმით გათვალისწინებული 638 ტონის ნაცვლად მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 692 ტონა ხორცი, 2295 ტონის ნაცვლად 2398 ტონა რძე.

ისიც აღსანიშნავია, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 ტონით მეტი რძე მიეყიდა სახელმწიფოს. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური დავალება 20 დეკემბრისათვის შესრულდება.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

9-10 დეკემბერს ასტრახანის ოლქში მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი ეწვია საოლქო ცენტრის მახლობლად მშენებარე მსხვილ გაზკონდენსატის კომპლექსს. სასარგებლო წიაღისეულთა უმდიდრესი მარაგის აქტიური ათვისება, რომელთა რიცხვს განეკუთვნება ასტრახანის საბადოც, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური დაა სოციალური განვითარების დაჩქარების სტრატეგიაში.

აქ დამამთავრებელი სტადია დაუდგა ხუთწლედის ამ მსხვილი ობიექტის პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის მზადებას. როცა საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს, საწარმო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგეტიკული პროგრამის რეალიზაციაში, ქიმიური ინდუსტრიის განვითარებასა და მინერალური სასუქების წარმოებაში.

სარეწებისა და გაზგადასამუშავებელი ქარხნის დათვალიერების დროს ნ. ი. რიჟკოვი ესაუბრა მუშებსა და სპეციალისტებს, გამოიკითხა, თუ როგორ არის მომზადებული კოლექტივი ახალი ტექნოლოგიის გამოყენებისათვის, რომელსაც საფუძვლად დაედება დიდად ავტომატიზებული საწარმოო პროცესი, როგორია შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

დაბა „მოლოდიოჟნაიაში“ გამართულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, ქარხნის, საოლქო ორგანიზაციათა, მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, განიხილეს კომპლექსის მშენებელთა და ექსპლოატაციის მუშაკთა პირველი რიგის ამოცანები, აღინიშნა, რომ 1986 წლის დარჩენილ დღეებში მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დამთავრებას და ვადაზე და მაღალხარისხოვნად გადასცენ კომპლექსის პირველი რიგი, მათ შორის ბუნების დაცვის ობიექტები. დიდი ყურადღება დაეთმო კომპლექსის მეორე რიგის მშენებლობის დაჩქარების, ამისათვის სამუშაოთა საჭირო ფრონტის უზრუნველყოფას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ წინა პლანზე მუდამ უნდა იდგეს კოლექტივისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხები.

თათბირზე გამოვიდა ნ. ი. რიჟკოვი.

იგი ეწვია აგრეთვე მშენებარე ქარხანა „ლოტოსის“ ობიექტებს, სადაც დაიწყო საზღვაო ნავთობის სარეწების საბურღი და საექსპლოატაციო ბაქნებისათვის კვანძების გამოშვება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გეეცნო ასტრახანის ზოგიერთ ახალშენებას, გამოიკითხა, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ქალაქში საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

ასტრახანის ოლქში მოგზაურობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. შჩერბინა, სკკპ ასტრახანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ა. ბოროდინი, ასტრახანის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. ტიურინი, სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროების ხელმძღვანელები.

10 დეკემბერს ნ. ი. რიჟკოვი მოსკოვს დაბრუნდა. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენის — 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩინეთში მოწყობილი ყველაზე დიდი საბჭოთა გამოფენის დამთავალიერებლებს.

ბოლო წლებში, ნათქვამია წერილში, შესამჩნევად გაუმჯობესდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა: ფართოვდება მრავალმხრივი კავშირურთიერთობა, ვითარდება ვაჭრობა, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა. მაღლდება ორი ქვეყნის წარმომადგენელთა კონტაქტების დონე. საბჭოთა კავშირი მზად არის კვლავაც განამტკიცოს ურთიერთნდობა, განავითაროს კეთილმეზობლური კავშირ-ურთიერთობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ორი ქვეყნის ხალხების, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის.

ორმხრივი ურთიერთობის განვითარების ფართო შესაძლებლობანი გვაქვს. სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ დიდია ჩვენი თანამშრომლობის რეზერვები. საბჭოთა ხალხი პატივისცემით აღიქვამს ჩინეთის კომპარტიის მიერ დასახულ მიზნს — განაახლონ ქვეყანა, ააშენონ სოციალისტური საზოგადოება მშვიდობის პირობებში. წერილში გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კავშირ-ურთიერთობის შემდგომი განვითარება სხვადასხვა დარგში, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების აღშენებლობითი გეგმების განხორციელებას. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲡ

10 დეკემბერს მოსკოვში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გ. ვ. პლეხანოვის დაბადების 130 წლისთავს.

თავიანთ გამოსვლებში ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ა. გ. ეგოროვამ და სხვა ორატორებმა დაახასიათეს რუსეთში მარქსიზმის პირველი პროპაგანდისტის, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის დამაარსებლის ცხოვრების გზა. აღინიშნა, რომ მან თვალსაჩინო როლი შეასრულა რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა და სოციალისტურ მოძრაობაში მარქსიზმის პოზიციების განმტკიცების საქმეში. ორატორებმა ილაპარაკეს გ. ვ. პლეხანოვის სერიოზულ დამსახურებაზე მარქსიზმის გავრცელება-პროპაგანდაში, ამასთან აღინიშნეს მისი დიდი თეორიული და პოლიტიკური შეცდომები.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის, რუსეთში რევოლუციური მუშათა მოძრაობის ისტორიის შესწავლა და პროპაგანდა ეხმარება პარტიას, საბჭოთა ხალხს გარდაქმნის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში, კომუნიზმის მშენებლების აღზრდაში.

საზეიმო სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები, პარტიის ვეტერანები, დედაქალაქის მრეწველთა წარმომადგენლები. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Კ. ᲡᲝᲠᲡᲐ

საბოლოთა მთავრობის მოწვევით ფინეთის პრემიერ-მინისტრი კ. სორსა ეწვევა საბჭოთა კავშირს (ქ. ტალინი, ესტონეთის სსრ) ამა წლის დეკემბრის მეორე ნახევარში.

კ. სორსა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ი. რიჟკოვთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ახალტალინის საზღვაო ნავსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში, რომლის მშენებლობაში მონაწილეობდნენ ფინეთის firmebi.

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲚ ᲞᲘᲥᲠᲝᲑᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ მ. ს. გორბაჩოვის ამასწინანდელ ვიზიტთან დაკავშირებით მას ინდოეთის სხვადასხვა ორგანიზაციისა და მოქალაქეებისაგან მოუვიდა მრავალი წერილი, ღია ბარათი და დეპეშა, რომელთა საერთო რიცხვმა უკვე 20 ათასს გადააჭარბა.

ბევრ მათგანში მ. ს. გორბაჩოვს აცნობებენ, რომ იგი ჯილდოვდება პრემიებით მშვიდობისა და ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, რომ მას მიენიჭა საპატიო წოდებები. მთელი რიგი წერილების ავტორები სთავაზობენ ეწვიოს ამა თუ იმ ადგილს ინდოეთში, ესტუმროს ინდოელთა ოჯახებს.

ამ გულთბილი მისალმებების, მეგობრული სურვილებისა და ყურადღების გამოხატულების პასუხად მ. ს. გორბაჩოვმა ინდოეთის საინფორმაციო სააგენტოების — პრეს ტრანსნტ ოფ ინდიასა და იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას მეშვეობით ინდოელებს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

• • •

ძვირფასო ინდოელო მეგობრებო!

პრემიერ-მინისტრ რ. განდისთან ერთად დელში ჩატარებული პრესკონფერენციის დროს უკვე გადავუხადე მადლობა ინდოეთის ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებმაც მოსალმებები და კეთილი სურვილები გამომიგზავნეს მეგობრულ ინდოეთში ვიზიტის წინ და ინდოეთის სტუმართმოყვარე მიწა-წყალზე ჩვენი ყოფნის დროს.

ახლაც უამრავი დეპეშა და წერილი მომდის ინდოეთიდან. ფაროო და მრავალფეროვანია მათი ავტორების მისამართების გეოგრაფია — ეს არის ათობით და ასობით ქალაქი თუ სოფელი ინდოეთის თითქმის ყველა შტატიდან და მოკავშირე ტერიტორიიდან. მწერენ სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვა ენაზე. ყველა მათი წერილი გამსჭვალულია საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მეგობრობის გრძნობით. ყველანი მხურვალედ უჭერენ მხარს პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდისთან ჩვენი ამასწინანდელი მოლაპარაკების შედეგებს, გამოთქვამენ რწმენას, რომ კიდევ უფრო განვითარდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა, ნაყოფიერი თანამშრომლობა. ხაზს უსვამენ ორი ქვეყნის ურთიერთმოქმედების დიდ მნიშვნელობას მთლიანად მსოფლიოსათვის.

გულის სიღრმემდე მაღელვებს ყოველივე ეს და მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ინდოელ მოქალაქეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ინდოეთის პრესას. მათ შეფასებებსა და სურვილებში ხალხის ხმა გვესმის. მათ წერილებში გამოსჭვივის იმის რწმენა, რომ შეუქცევადია ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცება. მთლიანად ვეთანხმები პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდის იმაში, რომ ეს მეგობრობა გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის ფაქტორია.

ვუსურვებ დიდ ინდოელ ხალხს მშვიდობას, ყველა მისი არცთუ ისე იოლი პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას, პროგრესულ გარდაქმნათა გეგმების განხორციელებას, ერთიანობის განმტკიცებასა და ქვეყნის მთლიანობის უზრუნველყოფას პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდის დინამიკური ხელმძღვანელობით.

გისურვებთ ბედნიერებასა და აყვავებას!

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

10 დეკემბერს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მოლაპარაკება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაციასთან, რომელსაც იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. რენოვიცა მეთაურობს.



საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი, სხვა ოფიციალური პირნი.

გაიმართა ინფორმაციისა და აზრთა საფუძვლიანი გაზიარება სკკპ XXVII ყრილობისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის საქმიანობის, ორი პარტიისა და ქვეყნის ურთიერთობის შემდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ, საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებზე.

მოლაპარაკებამ ურთიერთგაგების, მეგობრობისა და გულახდილობის ვითარებაში ჩაიარა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დელეგაციასა და მის მეთაურს მ. რენოვიცას კრემლში გაუმართა სადილი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვორონინკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. ჰ. ბირიუკოვა, ა. თ. დობრინინი, მ. ვ. ზიმიანინი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ვ. კაპიტონოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა მ. ს. გორბაჩოვმა და მ. რენოვიცამ ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით. დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს სიტყვები და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მ. რენოვიცამ, დელეგაციის წევრებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი. გვირგვინით შეამკეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

სტუმრებს ახლდა ვ. ა. მედვედევი. (Ს

ᲪᲔᲝᲚᲘᲗᲘᲡ ᲣᲚᲔᲕᲘ „ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲔᲑᲘ“

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ცეოლითების თვისებებმა იმთავითვე მიიპყრო მეცნიერებისა და პრაქტიკოს-ექსპერიმენტატორთა ყურადღება. ბუნებრივ ცეოლითებს ამკამად ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობაში. ცეოლითებს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ნიადაგში მისი სასუქებთან ერთად შეტანა ხელს უწყობს ნიადაგში ძირითადი საკვები ნივთიერებების დიდხანს შენარჩუნებას. ცხოველთა და ფრინველთა საკვებში მათი დიეტური გამოყენება ჩინებულად მოქმედებს პროდუქტიულობის ზრდაზე. მოგვიანებით ცეოლითებს „მიკითხეს“ იქტიოლოგებმა თევზის მოშენებისა და გამრავლებისათვის.

ახლა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს არ იკითხავთ? ცეოლითი — საწარმოთა გამნაბოლქვი აირებისა და ჩამდინარი წყლების გამწმენდი, გაზებისა და სითხეების გამშრობი, ჰაერის ეანგბადით გამამდიდრებელი, დეზოდორატორი, ხშირად შეუცვლელი თანაშემწე კვების მრეწველობაში, საოჯახო მეურნეობაში და სხვა.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ცეოლითების პირველი სამრეწველო მოპოვება და გადამუშავება დაიწყო საქართველოში, როცა 1981 წელს საწარმოო გაერთიანება „სამთოქიმმრეწვი“ საცდელი უბნის ბაზაზე შეიქმნა წარმოება „საქცეოლითი“. მოთხოვნები ამ საწარმოს პროდუქციაზე ყოველწლიურად იზრდებოდა. ასე, მაგალითად, თუ 1982 წელს „საქცეოლითმა“ მომხმარებელს 20 ათასი ტონა პროდუქცია გაუგზავნა, მომდევნო წლებში მისი რეალიზაცია ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა და 30 ათას ტონას მიაღწია.

— როგორია მომავალში ცეოლითების მოპოვებისა და გადამუშავების პერსპექტივა? — ვეკითხებით „საქცეოლითის“ დირექტორს ნ. ვამაკიძეს.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების გაფართოების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სამთო ქიმიკოსთა დიდი კოლექტივის საპროგრამო სახელმძღვანელო გახდა. ამის გარდა, სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრომ, გაითვალისწინა რა ბუნებრივი ცეოლითების სახალხო მეურნეობაში ფართოდ დანერგვის აუცილებლობა, დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაჩქარებას, არსებული სიმძლავრეების შემდგომ გაფართოებას იმ ანგარიშით, რომ მომავალში „საქცეოლითის“ პროდუქციის წარმოებამ წლიურად 100 ათას ტონას მიაღწიოს. საამისოდ ყველა პირობა გვაქვს: მანქანა-დანადგარები, მექანიზმები, კადრები და, ბოლოს, ის გაძლიერებული პასუხისმგებლობა, რომელიც თითოეული ჩვენგანისაგან პატიოსან და ერთგულ შრომას მოითხოვს.

...კასპის რაიონის ძველი, ისტორიული სოფლის ზემო ხანდაკის ადამიანს მიუყვება ჩვენი მანქანა. ამ მთების გულში, რომელიც მდინარე თეძამს გასდევს, ცეოლითების მდიდარი საბადოებია. ადამიანები ამ საბადოებს, მის არაჩვეულებრივ თვისებებს ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას უპირებენ. უმაღლესი ხარისხის ცეოლითით მდიდარი ქანები ზედ მიწის ზედაპირზეა. კარიერზე რომ ავედით, ექსკავატორების გუგუნი შემოგვესმა. უზარმაზარი ციცხვით იტვირთებოდა ძვირფასი მადანი სატვირთო ავტომანქანის ძარაზე.

— მეექსკავატორე დავით ჯეჯელაშვილმა ერთ-ნახევარი დღიური ნორმა გამოიმუშავა, — მოახსენებ დირექტორს.

— ძლივს ვასწრებთ საფქვავ-მამდიდრებელ უბანზე მადნის ჩატანას, — ბუმრობდნენ სატვირთო ავტომანქანების მძღოლები გოგი ზარეულაშვილი და რობინზონ იმერლიშვილი.

საფქვავ-მამდიდრებელი უბანი ნედლეულის მიმღები უბანია, სადაც არის სამსხვრევი განყოფილება, საშრობი დოღი, ბაცრის კვანძები. აქ გადის ნედლეული სრულ ტექნოლოგიურ ციკლს — იმსხვრევა, შრება, იცრება, ხარისხდება და შემდეგ დაფასოებული პროდუქცია იქვე, რკინიგზის ვაგონებში იტვირთება და ეგზავნება მომხმარებელს.

„საქცეოლითის“ წარმოებაში ადრეც ვყოფილვარ, ვიცნობ მის ბევრ მუშასა თუ სპეციალისტს.

— ამ ექვსი წლის წინ, — ამბობს ზეინალთა ბრიგადის ბრიგადირი ვალიკო მჭედლიშვილი, — როცა მზა პროდუქციის სამი ათასი ტონა ტევადობის ბუნკერის მშენებლობა დავიწყეთ, ზოგიერთი იცინოდა: წელიწადში ათას ტონას ძლივს ვაბამთ თავს, ამხელა ბუნკერს რა გაავსებსო.

ახლა? შარშან 30 ათასი ტონა ცეოლითი მივაწოდეთ ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს. წლეულს მარტო ათ თვეში 37 200 ტონა ცეოლითი დავამუშავეთ, ეს მილიონ 564 ათასი მანეთის პროდუქციაა. წლის დამლევამდე კიდევ 48 ათას ტონა ცეოლითს გადავამუშავებთ, რვა ათასი ტონით მეტს, ვიდრე დავალება ითვალისწინებს.

როგორ მიაღწია კოლექტივმა პროდუქციის მატების ასეთ დინამიკას? წარმოება არც შესაბამისი მასშტაბებით გაზრდილა, არც მუშახელი ჰყავთ მოჭარბებულად.

საქმე ის არის, რომ „საქცეოლითის“ წარმოებაში შეიგნეს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება დამოკიდებულია თითოეული კოლექტივის, ყოველი ადამიანის შრომითს წვლილზე.

გარდაქმნა ხომ ნაკლოვანებებისადმი, საქმეებში უძრაობისადმი, პარადულობისა და ფუჭსიტყვაობისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს გულისხმობს. აი ასეთი მორალურ-ზნეობრივი კლიმატი დამკვიდრდა „საქცეოლითის“ შრომითს კოლექტივში. ამიტომ არის, რომ აქ მკაცრად მოჰკითხავენ სამუშაოზე დამგვიანებლებს, გამცდენებს, წუნის მკეთებლებს, იმათ, ვინც ცდილობს კი არ გარდაიქმნას, გარდაქმნას მოერგოს, ლოზუნგებს ამოფარებულმა ძველებურად იცხოვროს და იაზროვნოს.

ასე რომ არ იყოს, არ ექნებოდათ მათ ასეთი მაღალი და სტაბილური სამუშაო მაჩვენებლები, არ ექნებოდათ არც დაზოგილი ელექტროენერგია და საწვავ-საპობი მასალები, ზეგეგმითი პროდუქცია და წარმოებულ ტონა პროდუქციაზე ნაკლები დანახარჯები. ეკონომიკური სამსახურის გამოანგარიშებით, მიმდინარე სამეურნეო წელს კოლექტივი 170 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგებით დაამთავრებს.

რენტაბელური წარმოება და ზეგეგმითი მოგება ხომ სოციალური პროგრამის განხორციელების საიმედო საწინდარია. მარტო შარშან წარმოების დასახლებისა მუშებისათვის სამი საცხოვრებელი რვაბინიანი სახლი აშენდა, დამთავრდა მუშათა სასადილოს და მაღაზიის მშენებლობა. მალე დაიწყება ორი რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, აშენდება 140 ადგილიანი საბავშვო ბაღი, ამბულატორია, 330-ადგილიანი კლუბი.

იზრდება წარმოება. გათვალისწინებულია 1990 წლამდე კიდევ უფრო გაფართოვდეს თემქმის ცეოლითების მოპოვება.

უახლოეს ორ-სამ წელიწადში ცეოლითების წარმოება წლიურად 70 ათას ტონამდე გაიზრდება, ეს კი საშუალებას მისცემს „საქცეოლითს“ მთლიანად დაკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მოთხოვნა ქართულ ცეოლითზე.

ბ. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ IV ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲐᲒᲠᲝᲛᲠᲔᲦᲕᲘ—ᲥᲕᲐᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲯᲘᲛᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ, ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗ

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ რაიონის კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობას მეძროხეობის, მეღორეობისა და მეცხვარეობის ჩინებული ფერმები აქვს. მის დასათვალიერებლად სისტემატურად მრავალი სტუმარი მოდის რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. აქ მართლაც ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს კაცმა, უპირველესად ის, თუ რა მოაქვს მეცნიერებასთან, მის სხვადასხვა დარგთან წარმოების მჭიდრო თანამშრომლობას.

მეურნეობაში დარწმუნდნენ, რომ სამეცნიერო აზროვნების ფართო გამოყენებით შესაძლებელია წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი გაზრდა, მეტი უკუგებით მუშაობა. უკანასკნელ წლებში აქ დანერგეს ათობით პროგრესული ნამუშევარი და რეკომენდაცია, რომელთა ინიციატორი მეურნეობის დირექტორი ზაალ მაჯგალაძე და სპეციალისტები არიან.

ინსტიტუტის მეძროხეობის, მეცხენეობისა და მერძევეობის კათედრის სწავლულებმა დაამუშავეს და მეურნეობაში დანერგეს რესპუბლიკის პირობებისათვის საზრიცე მეძროხეობის ტექნოლოგია. ცნობილი ფრანგული სახორცე ჯიში „ლიმუზინი“ შეაჯვარეს ველის წითელთან, შავჭრელთან და კავკასიურ წაბლასთან, და შეიქმნა საუკეთესო ტიპი. უკვე მიღებულია მეორე თაობა, რომელიც დიდი სახორცე პროდუქტიულობით გამოირჩევა, 18 თვის ასაკში თითოეული 600-630 კილოგრამს იწონის, ხოლო ხორცის გამოსავალი 62-64 პროცენტია, მაშინ როცა სხვა ჯიშის პირუტყვის ხორცის გამოსავლიანობა 50-55 პროცენტს არ აღემატება. მიღებული მეტისი ხასიათდება აგრეთვე ზრდის დიდი ენერგიით — გამოზრდის მთელ პერიოდში საშუალო სადღეღამისო წონამატება ერთ კილოგრამს ჭარბობს. ამ ახალი ჯიშის დანერგვით მეურნეობამ წელს უკვე 17 პროცენტით გაზარდა პროდუქტიულობა, გაუმჯობესდა ხორცის ხარისხი და მეოთხედით შემცირდა მისი თვითღირებულება, ეკონომიკურმა ეფექტმა რამდენიმე ათასი მანეთი შეადგინა.

მეცხოველეობის კათედრასთან თანამშრომლობით გამოჰყავთ ღორის სპეკინგენ ჯიშები, მეურნეობის მიერ საამისოდ შეძენილი ასი ნეზი კარგი მოვლის შედეგად სწრაფად მომრავლდა და ახლა მათი რიცხვი 1500-ს აღწევს. ფერმა სანაშენოა, წელს 400 სული ჯიშიანი ბურვაკი გაუნაწილა რესპუბლიკის სხვა მეღორეობის ფერმებს სამრეწველო შეჯვარებისათვის. შემდგომში გათვალისწინებულია სანაშენო ბურვაკების გამოზრდის გადიდება ერთისამად და უფრო მეტად და, ცხადია, შემოსავალიც მკვეთრად გაიზრდება.

ინსტიტუტის ცხოველთა კვების განყოფილების რეკომენდაციით წარმატებით იყენებენ რძის შემცველ პასტა-კონცენტრატებს ხბოების გამოსაზრდელად. წლის განვლილ პერიოდში ყოველივე ამის შედეგად 55 ათასი კილოგრამით შემცირდა მოუხდელი რძის ხარჯვა და მიღწეულია 38 ათას მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი. დაინერგა აგრეთვე ფურების ნაადრევი გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებანი ფურების უნაყოფობის წინააღმდეგ და სხვა, ამ სიახლის შედეგად აქ ბერწობა მთლიანად აღიკვეთა და თითო ფურზე წელს თითო ჯანსაღი ნამატია მოღებული.

მეცნიერთა თანადგომის შედეგია, რომ მეცხვარეობის ფერმაში წმინდა ჯიშის თუშური და ნაზმატყლიანი ფარები ჰყავთ. ყოველ ას ნერზე მიღებულია 97 ბატკანი, მთლიანად კი 3.200 ნერი ჰყავთ და თითოეულზე 4 კილოგრამი გუდის ყელი დაამზადეს. თუმცა ეს ძალიან ეცოტავებათ.

— მალე მექანიკურ წველას განვახორციელებთ, რომლის დროს ეს მაჩვენებელი ოთხ-ხუთჯერ მაინც გაიზრდება, — დაბეჯითებით გვითხრეს მეურნეობაში, — გარდა ამისა, წელს კრწანისელებმა თითოეულ ცხვარზე 3,4 კილოგრამი მატყლი გაპარსეს, რაც 0,4 კილოგრამით ჭარბობს საგეგმოს. თითოეული ცხვარი გეგმით 27 კილოგრამი საშუალო წონის უნდა ჰბარდებოდეს სახელმწიფოს, ფაქტობრივად ჰბარდება 35 კილოგრამი. გეგმით გთვალისწინებულზე ბევრად მეტი წონით ჰბარდება სახელმწიფოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიც და ღორიც. ყოველივე ეს ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მეცხოველეობის მაღალი მაჩვენებლები აგრეთვე იმის შედეგია, რომ საკვებწარმოება სწრაფად განვითარდა. წელს, მაგალითად, საგეგმო 1985 ტონის ნაცვლად დამზადებულია 2500 ტონა თივა. უხვად მოიმარაგეს სენაჟიც, სილოსიც, ჩალაც და საკვები ძირხვენებიც. ახლა პირუტყვს საკვები საკმარისზე მეტი აქვს, ჩინებულია ხარისხიც. აქ უპირატესობას ანიჭებენ ცილებით მდიდარ საკვებ კულტურებს. განახლების მიზნით მრავალწლოვანი ირონჯა დათესეს 300 ჰექტარზე, ნათესები გაანაყოფიერეს სასუქებით, რამდენჯერმე მორწყეს, ექვსჯერ გათიბეს ბალახი და რეკორდული მოსავალი მიიღეს. მეურნეობაში მტკიცედ გადაწყვიტეს: ირონჯის ნათესი ფართობები ორჯერ გადიდდონ და კვლავაც გაზარდონ ნათიბის გამოსავლიანობა. აქ ასობით ჰექტარზე თესავენ აგრეთვე უხვეცოლოვან კოინდარს, სათითურას და მდელოს წივანას შერევით, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა მოსავლიანობა და საკვები მრავალფეროვანი და ყუათიანი გახდა. სისტემატურად წარმოებს საკვების კონსერვაცია და გამდიდრება აზოტშემცველი ნივთიერებებით. ეს კიდევ უფრო ამდიდრებს მას.

ყოველი სიახლე, რომელიც კი ცნობილი გახდება, იმთავითვე ინერგება მეურნეობაში. მაგალითად, საწარმოო ქვეგანაყოფები მუშაობენ კოლექტიური იჯარით. მინდვრისა და ფერმის თითოეული მუშაკი ერთნაირად არის დაინტერესებული მეტი იშრომოს, რადგან იცის, რომ მეტს მიიღებს. კოლექტიური იჯარა ყოველ რიგით მშრომელს აიძულებს ეკონომიურად იაზროვნოს და იმოქმედოს, არა მარტო შესრულებული სამუშაო და გამომუშავებული თანხა იანგარიშოს, არამედ წარმოების დანახარჯებიც, კონკრეტულად გრძნობდეს, რით იქმნება პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც საბოლოო ანგარიშით უშუალო გავლენას ახდენს მის ხელფასზეც. ამ შემთხვევაში ადამიანი უფლებას არ აძლევს თავის თავს, რომ რომელიმე უბანზე ოპერაციას: რწყავენ ნიადაგს, შეაქვთ სასუქები, თიბავენ ბალახს; წნეხავენ, აგროვებენ, მიაქვთ ფერმებთან და ზვინავენ. წელს დაამზადეს ორი ათას ტონაზე მეტი თივა, წინათ ამავე ფართობზე ამის ნახევარსაც ვერ ამზადებდა, თანაც ორჯერ მეტი კაცი.

კოლექტიური იჯარის პირობებში განსაკუთრებულ როლს სპეციალისტები ასრულებენ. ისინი მეურნეობაში მარტო მრჩევლები კი არ არიან, ისინი ნამდვილი წარმოების მეთაურები გახდნენ.

მეურნეობაში სულ უფრო იზრდება მექანიზაციის დონე და მინდვრისა და ფერმის შრომელის შრომა მიუახლოვდა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისას. ხელის შრომა მთლიანად გამოირიცხა მიწათმოქმედებაში, მეცხოველეობაშიც მაღალი დონეა მიღწეული. მოქმედებს საკვებსაამქრო, და წინასწარ ცხელი წყლით შემზადებული და ვიტამინებით გამდიდრებული საკვები ეძლევა პირუტყვს, რომელსაც იგი მადიანად შეექცევა, თანაც გამორიცხულია ნარჩენები. ნაკელი ტრანსპორტიორებს სპეციალურ საცავებში გააქვთ, საიდანაც დაფვლებული და გადამწვარი ორგანული სასუქი მიაქვთ მინდვრად. ყოველივე ამის წყალობით წელს მემინდვრეებმა თითოეულ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით გალეწეს 15 ცენტნერი ხორბალი და 8 ცენტნერი ქერი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზით მცირდება დანახარჯები წარმოებულ პროდუქციაზე. მაგალითად, ერთი ცენტნერი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის წარმოება საგეგმოსთან შედარებით 22 მანეთით, ღორის ხორცისა — 40 მანეთით, ხოლო ცხვრისა — თითქმის 50 მანეთით ნაკლები დაუჯდათ. ასევე შემცირდა დანახარჯები მარცვლეულს, საკვების წარმოებაზე და ა. შ.

განუხრელად იზრდება მეურნეობის შემოსავალი. უკანასკნელი წლების სტატისტიკა ასეთია: 1983 წელს მეურნეობის სალაროში 1291 ათასი მანეთი შემოვიდა, ამ წელს მეურნეობა პირველად გახდა რენტაბელური. 1984 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1.761 ათას მანეთს, შარშან — 1.775 ათას მანეთს. მიმდინარე წლის ათ თვეში შემოსავალმა შარშანდელ დონესაც გადააჭარბა და წლის ბოლომდე ორ მილიონ მანეთს მიაღწევს, საიდანაც წმინდა მოგება 300 ათას მანეთამდე იქნება. კრწანისელთა ამ მაჩვენებლებში ექვი არავის შეეპარება, რადგან მეურნეობამ უკვე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის აღებული სახელმწიფოსათვის ყველა სახეობის პროდუქციის მიყიდვის წლიური გეგმა, ახლა მეცხოველეობის პროდუქტებს ვალდებულების გადამეტებით ამზადებენ.

Დ. ᲑᲘᲭᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.
Մ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲚᲐᲚᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲙᲐᲓᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ. ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲙᲝᲛᲯᲐᲕᲨᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲖᲐᲐᲚ ᲛᲐᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲫᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲙᲝᲛᲯᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ, ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ-ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲚᲘ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ; ᲤᲐᲡᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲞᲘᲠᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲢᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲙᲝᲛᲯᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲠᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲠᲙᲕᲐᲚᲘ.

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). საექსპლოატაციოდ გადაეცა მარნეულის პურპროდუქტების კომბინატის მესამე რიგი. ქვეყანაში ცოტაა ასეთი დიდად მექანიზებული, ავტომატიზებული საწარმო.

თანამედროვე ტიპის ამ წისქვილში ყველა პროცესს, ელევატორიდან მარცვლეულის მიწოდებით დაწყებული და მზა პროდუქციის გამოშვებით დამთავრებული, ავტომატები ასრულებენ. ამის შედეგად ერთობ დიდია საწარმოს სიმძლავრე — დღე-ღამეში ასობით ტონა ფქვილი. თანელი სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ იგი გაცილებით მეტ უმაღლესი ხარისხის ფქვილს გამოუშვებს, ვიდრე ამჟამად უშვებს რესპუბლიკის დარგის ყველა საწარმო ერთად.

ახალი საწარმოს მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის მრავალი შემოქმედებითი და შრომითი კოლექტივი მონაწილეობდა. პროექტი დაამუშავეს დონის როსტოვის „მრეწვმარცვლეულპროექტის“ ინსტიტუტის სპეციალისტებმა. მარცვლეულის გადამუშავების პროცესების ავტომატიზაცია შესაძლებელი გახდა დიდმწარმოებლური, კომპაქტური, ეკონომიკური დანადგარ-მოწყობილობათა გამოყენების შედეგად, რომლებიც მაღალ პროფესიულ დონეზე და დთქმულ ვადებში დაამონტაჟა დონის როსტოვის „ელევატორწისქვილმონტაჟის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეთა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელიც სამეურნეო ანგარიშით და კოლექტიური იჯარით მუშაობს. თორმეტი საკავშირო სამინისტროს საწარმოებმა დამზადეს და მარნეულში გამოგზავნეს ურთულესი თანამედროვე ტექნიკა, რომელიც სავსებით შეესაბამება მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს. ამ დიდმწარმოებლური, დიდეფექტიანი მანქანების და აგრეგატების გამოყენებით ყველა ჯიშის ხორბლისაგან პრაქტიკულად 75 პროცენტი უმაღლესი ხარისხის ფქვილი დამზადდება, მაშინ როცა ამ სისტემის სხვა საწარმოებში ეს მაჩვენებელი 15 პროცენტს არ აღემატება.

წისქვილჭარხანა-ავტომატი შეაძლებელს გახდის რესპუბლიკაში უმაღლესი ხარისხის ფქვილის წარმოება ვრთიორად გაზარდოს და წელიწადში 190 ათას ტონას გადააჭარბებს. ეს დიდად შეუწყობს ხელს პურფფნთუშეულისა და მაკარონეულის ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებას.

უნიკალური საწარმო ააგო „საქაგრომშენის“ №11 ტრესტის მუდმივმოქმედმა სამშენებლო მატარებელმა. მშენებლობა ჩაბარდა კარგი შეფასებით, იგი განხორციელდა მარნეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად.

წისქვილჭარხანა-ავტომატის ამოქმედებისადმი მიძღვნილი მტკიცნეული 10 დეკემბერს. საწარმოს შესასვლელში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მიტინგი გახსნა პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. კომახიძემ. მშენებლებს, მემონტაჟეებს, საწარმოს მთელ კოლექტივს შრომითი გამარჯვება მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ანდრონიკაშვილმა.

მიტინგზე გამოსულებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას იმ დიდი ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რომელიც მათ ამ მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო მშენებლობისადმი გამოიჩინეს. წისქვილის სრულიად ახალგაზრდა კოლექტივმა პირობა დადო, რომ ენერგიას არ დაზოგავს, რათა საწარმომ დროზე მიაღწიოს საპროექტო სიმძლავრეს.

ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲚᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲘᲜᲘᲗ შეასრულოთ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი და ამ საფუძველი შეუქმნათ დამკვრელურ მუშაობას 1987 წლის პირველი დღეებიდანვე — ასე განსაზღვრეს დარგის მშრომელთა მთავარი ამოცანა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის XIV ყრილობის დელეგატებმა. ყრილობამ 10 დეკემბერს დაამთავრა მუშაობა მოსკოვში,

პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და გამოსვლებში ყოველმხრივ იყო გაანალიზებული პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა, აღინიშნა შრომითი კოლექტივების აქტიური მონაწილეობის ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მიზანია პარტიის მიერ დასახული გარდაქმნის განხორციელება. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დარგმა დასძლია ხანგრძლივი ჩამორჩენა. წლეულს მისი საწარმოების უმრავლესობა სტაბილურად მუშაობს და 15 მილიონ ტონაზე მეტი ზეგეგმითი სათბობი გამოუშვა.

დელეგატებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს რეზერვებს, რომლებიც დავალებათა წარმატებით შესრულებას ხმარდება, ილაპარაკეს დისციპლინისა და ორგანიზებულობის გაძმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი სრულყოფის შესახებ. ამკამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შოწონებულ კუზბასის „რასპადსკაიას“ შახტის ვ. გეოზდევის სამთამადნო მუშათა ბრიგადისა და ვორკუტის „ვორგაშორსკაიას“. შახტის ა. პოტაპოვის მომპოვებელთა უბნის კოლექტივის ინიციატივას. მათ გადაწყვიტეს ხუთწლედის ორი წლის გეგმა 1987 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ.

ყრილობაზე გულახდილი საუბარი გაიმართა მშრომელთა შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. განვლილ ხუთწლედში პროფკავშირული კომიტეტების უშუალო მონაწილეობით განხორციელდა შესანიშნავი სოციალური ღონისძიებანი. ამავე დროს დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არის შრომითი კოლექტივების ბინებით, სკოლამდელი აღზრდის საბავშვო დაწესებულებებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, დანიშნულების ობიექტებით უზრუნველყოფაში.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. პ. იასტრებოვი, მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

აირჩიეს პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის დელეგატები.

გამართულ პლენუმზე პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს მ. ა. სრებნი. (ᲡᲐᲯᲓᲘᲡᲘ).

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ მთავრდება პროფკავშირული საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები და დარგობრივი პროფკავშირების კომიტეტების პლენუმები.

ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲦᲕᲔᲚᲝ კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველმა პლენუმმა ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია რ. გ. ურჯუმელაშვილი, მდივნად — ვ. ვ. კავაძე, ჯ. კ. ახმეტელი და პ. ლ. დეში.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზის ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველმა პლენუმმა მის თავმჯდომარედ აირჩია რ. ლ. ბუგიანიშვილი, მდივნად — ა. ს. დავიდოვი.

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ, სატრაქტორო და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. მ. აბასოვი, მდივნად — შ. კ. ლაბეანია.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველ პლენუმზე მის თავმჯდომარედ აირჩეულია ა. ი. კოპლატაძე, მდივნად — ო. გ. ცოცოლაშვილი.

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველმა პლენუმმა ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია გ. მ. ციბაძე, მდივნად — პ. რ. ლოლაშვილი.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი პლენუმის მონაწილეებმა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ი. კაციტაძე, მდივნად — ლ. შ. მურუსიძე.

**ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ფაქტები • მოვლენები ერთვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირი-ინდოეთი: კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა

არასოდეს არ წაიშლება მოგონებანი იმ წრფელი გულითადობის შესახებ, რომლითაც ინდოეთი მასპინძლობდა მ. ს. გორბაჩოვს. ეს თქვეს 11 დეკემბერს ამ ქვეყანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტის შედეგებისადმი მიძღვნილ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საღამოს მონაწილეებმა.

მოსკოვის მეგობრობის სახლის ტრიბუნიდან შთაბეჭდილებებს გვიზიარებდნენ ვიზიტის თვითმხილველები — ჟურნალისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ორატორები ამ მოვლენას უწოდებდნენ ისტორიულს და აღნიშნავდნენ, თუ რა საჭმიანი, მეგობრული ხასიათი ჰქონდა უმაღლესი დონის შეხვედრას.

... დელი ადრე იღვიძებს — პირველი ტრადიციული რძიანი ჩაი ექვს საათამდე უნდა შეისვას. ინდირა განდის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ინჟინრის მ. ბავას ოჯახი დადებთბად მოეკიდა ჩვენს უჩვეულო თხოვნას შეგვხვედროდა სამუშაოს დაუკების წინ — ასეთი პასუხსაგებ დღეებში ჟურნალისტებს ხომ ყოველი წუთი დათვლილი აქვთ.

— მოსკოვში არასოდეს არა ვყოფილვარ, — თქვა შ. ბავამ, ინჟინრის მეუღლემ, — მაგრამ საკმაოდ კარგად მაქვს იგი წარმოდგენილი ჟურნალების, წიგნების, კინოფილმების, ტელეგადაცემების მეშვეობით. რა თქმა უნდა, ვოცნებობ ვნახო თქვენი დედაქალაქი, მისი მუზეუმები. მერწმუნეთ, ყველა მოხარული იქნება ესტუმროს თქვენს ქვეყანას, და აი, ახლა ბევრის ოცნებას შეიძლება ხორცი შეესხას: რაკივ განდიმ და მ. ს. გორბაჩოვმა ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირში ინდოეთის და ინდოეთში სსრ კავშირის ფესტივალების მოწყობის პროგრამებისა და პირობების შესახებ.

— ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა მთელ კაცობრიობას შეიძლება დიდი უბედურება დაატეხოს თავს იმათმა უპასუხისმგებლო პოლიტიკამ, ვინც კიდევ უფრო აჩქარებს გამალებულ შეიარაღებას, — დაეთანხმა მას მ. ბავა.

თითქმის მთელი დედაქალაქი, მთელი ინდოეთი ცხოვრობდა ვიზიტით. ბედნიერებს უწოდებდნენ იმათ, ვინც შეძლო დასწრებოდა საბჭოთა ფილმს. დიდად პოპულარული იყო საბჭოთა წიგნების გამოფენა. სკოლებში გააუქმეს მეცადინეობა, მაგისტრალებზე კი, რომლებითაც ავტომანქანების კორტეჟი მიდიოდა ხოლმე, გამოდიოდა თითქმის 7 მილიონიანი ქალაქის ყველა მცხოვრები. ისინი რთავდნენ ქუჩებსა და მოეცნაურნენ ლამაზი გირლანდებით, წითელი და თეთრი ყვავილებით წნავდნენ ტრანსპარანტებს რუსულ ენაზე.

— დიახ, ინდოელები ცდილობდნენ ყველაფერი გაეკეთებინათ შეხვედრისათვის, როგორც ეს ძეთილ მეზობლებს ეკადრებათ, — დაადასტურა მ. ბავამ. — ჩემი აზრით, სწორედ ასე უნდა მყარდებოდეს ურთიერთობა ქვეყნებს შორის, მათი სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მიუხედავად. მაგრამ მე სხვა რამ მინდა ვთქვა. უდავოა, ეს ძალიან კარგია, რომ ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის დახმარებით აშენებულ ათობით უმნიშვნელოვანეს ობიექტებს შეემატება დელის დოკუმენტებით შობილი თანამშრომლობის ახალი მისამართები. მაგრამ რა შეიძლება იყოს მშვიდობიანი მომავლისათვის ბრძოლაში მეცადინეობის გაერთიანებაზე უფრო მნიშვნელოვანი. ამ თვალსაზრისით დელის დეკლარაციას, ინდოელ პარლამენტარებთან შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს სცილდება.

დელის მოსამსახურის ეს აზრი ბევრად ეხმიანება სსრ კავშირში ინდოეთის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ჩ. ვ. რანგანათხანის გამოსვლას მოსკოვში გამართულ საზოგადოებრიობის საღამოზე. ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების შეხვედრამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, წარმოაჩინა სხვადასხვა დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის ახალი წახნაგები. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს დელის დეკლარაციის მნიშვნელობა, რომელსაც ისტორიულს უწოდებენ.

საღამოს მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ვიზიტის მნიშვნელობას უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს ის, რომ ორი დიდი სახელმწიფოს თანამშრომლობა მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ა. გელიკოვი,
ა. მიზინოვი,
(საკდესის კორ.).



კოტე მახარაძე

ჟურნალისტებმა რესპუბლიკის სახალხო არტისტს, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს კოტე მახარაძეს „კაცი-კომბინატი“ უწოდეს. ზოგიერთს შეიძლება ეხამუშოს კიდეც ტექნიკური ტერმინის გამოყენება შემოქმედის დასახასიათებლად, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით შემოთავაზებულ კონტექსტში ამ სიტყვის მნიშვნელობას, მაშინ დავრწმუნდებით მის სიზუსტესა და მახვილგონივრულობაში. კოტე მახარაძე პოპულარული პიროვნებაა. მისი ბიოგრაფია მრავალმხრივ საყურადღებოა — მსახიობი, სპორტული კომენტატორი, მთარგმნელი, ინსცენირებებისა და არაერთი წერილის, საინტერესო მოგონებათა ავტორი.

კოტე მახარაძე ყოველთვის სიამოვნებით იხსენებს თავის ბავშვობას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“, არამედ იმიტომაც, რომ ეს ბავშვობა, მიუხედავად სიძნელეებისა, საოცრად მდიდარი და იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევს მას, როგორც სულიერი საზრდო და ნათელი მოგონება.

ბედმა გაუღიმა კოტე მახარაძეს — შორს არ მოუხდა სახლიდან გასვლა. მისი ყოველდღიური მარშრუტი პეროვსკაიას ქუჩიდან (სადაც იგი ცხოვრობდა) პირველ საშუალო სკოლამდე, რუსთაველის გამზირის ერთ მონაკვეთს მოიცავდა. უჩვეულოა, მაგრამ ფაქტია, რომ შემდგომშიც, ყველა ის სასწავლებელი, სადაც მას მოუხდა სწავლა, პროფესიული ცოდნის შეძენა და, საბოლოოდ მუშაობის დაწყება, სწორედ რუსთაველის გამზირის ამ მცირე „ნაწილით“ შემოიფარგლა.

შვიდი წლის კოტე დედამ — პირველი საშუალო სკოლის ამაგდარმა ბიბლიოთეკარმა, რომელსაც სიყვარულით ყველა დეიდა ვარიას ეძახდა, ოპერის თეატრთან არსებულ საბალეტო სტუდიაში მიიყვანა. აქ იგი ეზიარა საბალეტო ხელოვნების საფუძვლებს, კარგ მონაცემებსაც ავლენდა. შემდგომ, როდესაც კოტე უკვე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობდა, თვით ვახტანგ ჭაბუკიანმა მოინდომა მისი დაბრუნება ბალეტში, მაგრამ ახალმა ბატონებმა კოტეს გეზი ვერ შეაცვლევინა. ამ საიუბილეო დღეებში, როდესაც მას გაახსენეს თავისი საბალეტო „კარიერა“ და ჰკითხეს, ხომ არ ნანობთ, ამ ურთულეს და მომხიბვლელ პროფესიას რომ არ გაჰყვეთოთ, კოტემ ხუმრობით უპასუხა: ვატყობ, ჩემი დაღუპვა მოგსურვებიათ, მე რომ ბალეტში დავრჩენილიყავი, დღეს უკვე სტაჟიანი პენსიონერი ვიქნებოდი. ვინც იცნობს კოტე მახარაძის დაუდგრომელ, ბობოქარ ბუნებას, ამ ხუმრობაშიც აღმოაჩენს ჭეშმარიტების მარცვალს. თუმცა არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, თუ როგორ გაუბრწყინდება



კოტე მახარაძე 60 წლისაა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კონსტანტინე ივანეს ძე მახარაძე დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სსრ კავშირის მაგალითი მისაბაძია

ამერიკელი ექსპერტები სსრ კავშირის კოსმოსური პროგრამის შესახებ

ვაშინგტონი. *კოსმოსის კვლევის დარგის წამყვან ამერიკელ სპეციალისტთა აღიარებით, რეიგანის „ვარსკვლავთის ომების“ პროგრამა კოსმოსური სივრცის ათვისებაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის განვითარებისათვის არახელსაყრელი კლიმატის არსებობის ერთ-ერთი მიზეზია.*

ეს განაცხადა გაზეთ „იუეს-ეი ტუდეის“ ფურცლებზე კოსმოსური პროგრამების თვალსაჩინო ამერიკელმა ექსპერტმა ჩარლზ ვიკმა. გაზეთი ამასთან წერს, რომ სწორედ პრეზიდენტ რეიგანის ჯიუტმა უარმა ხელი აიღო სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივაზე შეუძლებელი გახადა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკავიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე დიდი მასშტაბის მორიგებათა მიღწევა.

თვალსაჩინო კოსმოსურმა ექსპერტმა ჯეიმს ობერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის კოსმოსის კვლევის პროგრამები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და, შესაძლოა, საჭირო არ იყოს მათ დავესესხოთ. მაგრამ, თქვა მან, სსრ კავშირისაგან მე გადმოვიღებდი პერსპექტიული მუშაობის უნარსა და გაბედულებას. „სსრ კავშირმა გაგვისწორა კოსმოსში ადამიანის ხანგრძლივი ყოფნის, სახელოსნოებად, ქარხნებად და ობსერვატორიებად კოსმოსური სადგურების გამოყენების პროექტების განხორციელების დარგში, — თქვა ჯ. ობერგმა. — საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად გვისწრებს შეძენილი გამოცდილებისა და კოსმოსური ტექნიკის საიმედოობის თვალსაზრისით.

◆ გფრ

კამათი ბუნდესტაგში

ბონი. *ბუნდესტაგში განხილვის საგანი გახდა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ დაატორპედა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება, რამაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეშფოთება და მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია.* გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პარლამენტის განსახილველად შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელშიც მწვავედ არის გაკრიტიკებული ვაშინგტონის სამეში კურსი.

კამათის დროს გამოსულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა სსრ კავშირის გადაწყვეტილებას ჯერჯერობით თავი შეიკავოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების შეზღუდვებიდან გამოსვლისაგან უწოდა „სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი“. მან განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა „ყოველთვის უჭერს მხარს მის შემდგომ დაცვას“.

მაგრამ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურის ამგვარი განცხადების მიუხედავად, მმართველი კოალიციის პარტიებმა, გამოიყენეს რა ძალთა განაწილება ბუნდესტაგში თავიანთ სასარგებლოდ, უარყვეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას გმობს.

სსრ კავშირ-ამერიკა: აშკარად მილიტარიზებული გადანყვეტილება

ვაშინგტონი. *აქ გამოსვლისას თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის უარს დაიცვას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მეორე ხელშეკრულება. ეს აშკარად მილიტარისტული გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს გამალებული ბირთვული შეიარაღების დაჩქარებას, პენტაგონის მეთაურმა ამით ახსნა, თითქოს ადმინისტრაცია ესწრაფვოდეს ბირთვული შეიარაღების შემცირების თაობაზე საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების წარმატების თვალ ხელის შეწყობას.*

როგორც უაინბერგერის გამოსვლიდან ჩანს, ფეჩქვეშ გათელა რა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მეორე ხელშეკრულება, ადმინისტრაციამ მორიგ სამიზნედ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულება აირჩია. მან დაადასტურა შეერთებული შტატების გადაწყვეტილება განაგრძოს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები, რომლებიც, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს გამალებული ბირთვული შეიარაღების კოსმოსში გადატანას. იმავე დღეს პენტაგონმა გამოაცხადა, რომ 1987 წელს იანვარში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში ჩადგება ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი კიდევ ერთი ბომბდამშენი „ბ-52“, ხოლო 12 დეკემბერს წყალში ჩაუშვებენ ბირთვულრაკეტებიან მორიგ წყალქვეშა ნავს „ტრაიდენტს“. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატები, ამას წინათ 131-ე ბომბდამშენ „ბ-52“-ის მწყობრში ჩადგომის შემდეგ, კიდევ უფრო გადაუჯარბებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებით დადგენილ ბირთვული იარაღის მატარებლების რიცხვს.

◆ ბელგია

გაიხსნა ნატოს საბჭოს სესია

ბრიუსელი. *ბელგიის დედაქალაქში დაიწყო „ნამორის ატლანტიკური მარათონის“ ბოლო ეტაპი — ნატოს საბჭოს სესია ალიანსის მონაწილე 16 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.*

ნატოს გენერალური მდივნის ლორდ კარინგტონის ცნობით, სესიაზე მთავარი საკითხები იქნება აღმოსავლეთ-დასავლეთ ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი მისი თქმით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებს, ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკებასა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ვენის შეხვედრას, აგრეთვე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებასთან. როგორც ცნობილია, წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ბევრმა მოკავშირემ გამოთქვა სერიოზული შეშფოთება რეიგანის ადმინისტრაციის იმ კურსის გამო, რომელიც ძირს უთხრის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას, შეიარაღებისადმი კონტროლის მარეგულირებელ სხვა შეთანხმებებს.

სესიაზე დიდი ადგილი დაეთმობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შიგნით სამხედრო თანამშრომლობის პრობლემათა განხილვას.

ნატოს საბჭოს სესიას წინ უძღოდა გასულ კვირას გამართული ბლოკის სამხედრო ორგანოების — ევროჯგუფისა და ნატოს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის სხდომები. მათ ცხადყვეს, რომ ატლანტისტები სერიოზულად არიან შეშინებული იმით, რომ რეიკიავიკის შემდეგ გაჩნდა ბირთვული შეიარაღების სრული ლიკვიდაციის პერსპექტივა, და უარი არ უთქვამთ გამალებული შეიარაღების განგრძობის წადილზე.

◆ ლიბანი

ტერორი გრძელდება

ბეირუთი. *ისრაელმა აგრესორებმა და მათმა ხელქვეითებმა კვლავ საარტილერიო ქვემეხებისა და ტანკების ცეცხლი დაუშინეს სამხრეთ ლიბანის რამდენიმე დასახლებულ პუნქტს.* სოფელ სარორაში ოკუპანტებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს ზეთისხილის პლანტაციებში მომუშავე გლეხებს და ძმიდან დაჭრეს ერთი მათგანი. განვლილი დღეღამის მანძილზე ისრაელის ავიაციამ არაერთგზის მოაწყო სადაზვერვო ფრენა საიდისა და სამხრეთ ლიბანის სხვა რაიონებში.

ქვეყნის სამხრეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, პარტიზანების ჯგუფმა იერიში მიიტანა აგრესორებისა და მათი დაქირავებულების გამაგრებულ პოზიციებზე. მოწინააღმდეგემ დაკარგა ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

ლიბანელი პატრიოტების სულ უფრო ძლიერი დარტყმების შედეგად ეცემა დაქირავებულთა საბრძოლო სულისკვეთება, მარიონეტული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ პირადი შემადგენლობა უარს ამბობს ბრძანებების შესრულებაზე. როგორც გაზეთი „ალ-ლივა“ წერს, დაახლოებით 70 დაქირავებული დაჰპტიმრეს იმის გამო, რომ უარი თქვეს ემსახურათ მოწინავე პოზიციებზე.

კვლავ დაფაბული ვითარებაა პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკების რაიონებში. ძმიმე სახეობათა იარაღს შათილისა და ბურჯ ალ-ბარაჟნის რაიონში მოწინააღმდეგენი გააფთრებით უშენდნენ ერთმანეთს ცეცხლს, მათ შორის არტილერიისას.

ფოტოინფორმაცია

მადაგასკარი

ანტანანარივუ. *მადაგასკარის დამოუკიდებლობის კონგრესის პარტიის ტრადიციული ყოველწლიური დღესასწაული გაიმართა მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის გარეუბანში. ვრცელ მოედანზე განლაგებული იყო პარტიის ახალგაზრდათა და ქალთა ორგანიზაციების, რევოლუციურ მალგასიელ მუშრომელთა პროფკავშირების ფედერაციის, მადაგასკარის სოლიდარობის კომიტეტისა და მშვიდობის და მადაგასკარის ხალხებს შორის მეგობრობის კომიტეტის პავილიონები.*

ექსპოზიციის სპეციალური განყოფილება მიეძღვნა ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი პარტიის — მადაგასკარის დამოუკიდებლობის კონგრესის საქმიანობას, მის ბრძოლას მადაგასკარის სოციალისტური გზისათვის, მალაგასიის სოციალისტური რევოლუციის ქარტიის დებულებათა განხორციელებისათვის. თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს ქვეყნის ექვსივე პროვინციის ხელოსნებმა, გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო ქარგულობა, გრეხილი ნაწარმი. გაიმართა პოპულარული ფოლკლორული ანსამბლებისა და ახალგაზრდული კოლექტივების გამოსვლები.

სურათზე: *წიგნის გამოფენა-გაყიდვა დღესასწაულზე.*

საკდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ბუენოს-აირესი.** *ჩილეს და მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეების ზემოქმედებით პინოჩეტის დიქტატორული რეჟიმი იძულებული გახდა გაეუქმებინა სასიკვდილო განაჩენი, რომელიც ორი კვირის წინათ სამხედრო ტრიბუნალმა გამოუტანა წინააღმდეგობის მოძრაობის სამ მონაწილეს.*

● **ჰავანა.** *პირამარიბოდან აქ მიღებული ცნობებით, სურინამის მთავრობამ თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა ამ ქვეყანაში საფრანგეთის გვიანის ტერიტორიიდან დაქირავებული შეიარაღებული ბანდების შეჭრის საფრთხის გამო. როგორც სურინამის საინფორმაციო სააგენტოს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული ბანდები სურინამში შეჭრას აპირებენ შეიარაღებული გზით კანონიერი მთავრობის დასამხობად.*

● **ჰანოი.** *ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ უარყო ბანგკოკის მტკიცება „ტაილანდ-კამბუჩიის საზღვარზე ვიეტნამის ჯარების პროვოკაციათა შესახებ“, თითქოს 3 და 6 დეკემბერს ვიეტნამელ მოხალისეებს კამბუჩიაში ცეცხლი დაეშინოთ ტაილანდის სამხედრო საგუშაგოებისათვის კამბუჩიის საზღვრის მახლობლად.*

◆ ჩინეთი

ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის

პეკინი. *სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შერჩევითი შემოწმების შედეგად წელიწადში ორჯერ მიიღებენ გაფრთხილებას, მკაცრად დაისჯებიან ადმინისტრაციული წესით თვით თანამდებობიდან განთავისუფლების ჩათვლით, განაცხადა საქონლის ხარისხის კონტროლის საკითხზე აქ გამართულ თათბირზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯუ უნსძიმ.* მან აგრეთვე აღნიშნა, რომ აუცილებელია მოწყობილობის მოდერნიზაცია და ტექნოლოგიის განახლება განსაკუთრებით მსუბუქი და საფეიქრო პროდუქციის საწარმოებში, უყურადღება გაამახვილა ამ სფეროში უცხოეთის მიღწევათა გამოყენების ფართო შესაძლებლობებზე.

ქვეყანაში გამოშვებული საქონლის ხარისხი, აღინიშნა თათბირზე, დიდად ჩამორჩება მოთხოვნილების დონეს, და ამ ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა საკანონმდებლო და ეკონომიკური ღონისძიებების მთელი კომპლექსი.

კულტურის ქრონიკა

გაუზიარეს გამოცდილება

ლონდონი. *გულთბილად შეხვდა ბრიტანეთის საზოგადოებრიობა საბჭოთა კომპოზიტორებს ს. თ. ცინცაძესა და ვ. ვ. პანჩენკოს, რომლებიც ერთ კვირას იმყოფებოდნენ აქ დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული გაცვლის პროგრამის შესაბამისად.*

როგორც საკდესის კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენელმა ბარბარა ფორდმა, არც ერთი მუსიკოსი გულგრილი არ დარჩენილა საბჭოთა კოლეგების მოგზაურობისადმი. საბჭოთა ხელოვნების განვითარების, ახალი მუსიკალური მიღწევების შეტყობა სურდათ კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს, კულტურული ცენტრების ადმინისტრატორებსა და ხელოვნების მოყვარულთ. სსრ კავშირის მუსიკალურ მოღვაწეთა ვიზიტს დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა კომპოზიტორებისათვის მარტო წმინდა პროფესიული თვალსაზრისით როდი ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. მათ სურთ შექმნან ინგლისში სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მსგავსი საკუთარი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მათ სჯერდებათ ისეთი კავშირი, რომელიც ეფექტიანად დაიცავს მათს ინტერესებს და პროპაგანდას გაუწევს ყოველივე ახალსა და პროგრესულს თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედებაში, ხაზგასმით აღნიშნა ფორდმა.

მოემზადა გამოსაცემად

ლაგოსი. *აფრიკული და ზანგური კულტურის ენციკლოპედია მოამზადა გამოსაცემად ნიგერიის დედაქალაქში მოქმედმა აფრიკული და ზანგური კულტურისა და ცივილიზაციის კვლევის ცენტრმა.* ეს განაცხადა აქ ცენტრის დირექტორმა ზაკიუს ალიმ. 10-ტომიანი გამოცემა, თქვა მან, მოიცავს აფრიკის ხალხთა კულტურის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის ისტორიას, ლიტერატურას, რელიგიას, ხელოვნებას ლინგვისტიკას.

გაიყიდა აუქციონზე

ლონდონი. *ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის ნამუშევარი — ქალაშვილის პორტრეტი — 7,26 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაიყიდა ლონდონის „სოტბის“ აუქციონზე.* ეს რეკორდული თანხაა, რომელიც ოდესმე გადაუხდიათ ამ ხელოვნის ნაწარმოებისათვის. 1632 წელს შექმნილი ეს სურათი შეიძინა კერძო კოლექციონერმა. პორტრეტი რემბრანდტის პირველი დიდი ხელოვნებაა, რომელიც აუქციონზე ბოლო ოცი წლის მანძილზე გაიყიდა.

ნიჭის მრავალფეროვნება — პოპულარობის წყარო

ხოლმე თვალები, როდესაც მის ქალიშვილზე — მაკა მახარაძეზე ჩამოუგდებენ საუბარს. იგი კმაყოფილებით დასძენს, რომ მაკა მისი განუზორეცელებელი ოცნების ხორცშესხმაა.

თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის წლებმა გაამდიდრა კოტე მახარაძის „პიროვნება; იმ ბედნიერ წლებში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტს სათავეში ედგა აკაკი ხორავა, ასწავლიდნენ — აკაკი ვასაძე, დოდო ალექსიძე, მოგვიანებით მიხეილ თუმანიშვილი. სწორედ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით და მასთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა ჯერ ინსტიტუტისა და შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრის ამ დროისათვის განახარები და მის ფესვებზე აღმოცენებული მსახიობის ბუნება უნდა მორგებოდა სხვა თეატრის სამყაროს. ეს ნაბიჯი ღალატად არ ჩაეთვლება კოტე მახარაძეს, რადგან ეს გადაწყვეტილება ერთგულებითაც იყო განპირობებული: მისმა სათაყვანებელმა მასწავლებელმა დმიტრი ალექსიძემ, რომელიც კიევიდან დაბრუნების შემდეგ სათავეში ჩაუდგა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრს, თავისთან იხმო იგი და ისიც უყოყმანოდ დათანხმდა. დათანხმდა მაშინ, როცა რუსთაველის თეატრში შექსპირის „მეფე ლირში“ ედგარის როლზე მუშაობა ელოდა.

ასე და ამგვარად, კოტე მახარაძის ცხოვრებაში დაიწყო შემოქმედებითი სიმწიფის ახალი ეტაპი. იგი უმალ ჩაება დ. ალექსიძესთან ერთად მუშაობაში, გახდა მისი პირველივე სპექტაკლების აქტიური მონაწილე: მარკიზ პოზა — შილერის „დონ კარლოსში“, ანტონიო ტერჩინი — ა. კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისაში“; ამ როლებს მოჰყვა მოსამართლის როული, მრავალპლანიანი სახე — გ. ხუხაშვილის ამავე სახელწოდების პიესაში (რეჟისორი ა. ქუთათელაძე), მოქნილი, მომხიბვლელი ავანტიურისტი კვაჭი — მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ (რეჟისორი დ. ალექსიძე) და მრავალი სხვა.

კოტე მახარაძე თავის თავს ბედნიერ კაცად თვლის და ეს მართლაც ასეა — მას ხომ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების თითქმის ყველა კორიფესთან მოუხდა სცენაზე გამოსვლა, იგემა მათი პარტნიორობა, რამაც ღრმა კვალი დაამჩნია მის მეხსიერებას.

თეატრალურმა ბედმა ისიც არგუნა კოტე მახარაძეს, შესულიყო მარჯანიშვილის რეჟისორული გენიის — „ურიელ აკოსტას“ ქმნილებაში, საკუთრივ ეგრძნო მისი მიზანსცენების მუსიკალურ-პლასტიკური ქარგა, შეერთებოდა ურიელის მორთოლვარე სულის ამბოხს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაწილობრივ მაინც გაეზიარებინა ამ დიადი სპექტაკლის წარმატება.

კოტე მახარაძე გონიერი მსახიობია. მას შესწევს უნარი პირუთვნელად გააანალიზოს თავისი თუ სხვისი ნამოღვაწარი, ამიტომ ძალდაუტანებელი (გულწრფელობით აღიარებს მისთვის საოცნებო ორი როლის წარუმატებლობას. ეს როლებია — მათიოს კლაუზენი ჰ. ჰაუპტმანის „მზის ჩასვლის წინ“ და დონ სეზარ დე ბაზანი დ. დიუმანუასა და ჯ. დენერის ამავე სახელწოდების კომედიაში. მისეულ შეფასებაში სისასტიკეც არის და სინანულიც — პირველის თამაში მას ნაადრევად მოუხდა, ხოლო დონ სეზართან შეხვედრამ დააგვიანა.

მარჯანიშვილის თეატრში შექმნილმა სახეებმა ბევრი სიხარული მოჰგვარა მსახიობს. მისმა მურმანმა ლ. როსების „პროვინციულ ამბავში“ (რეჟისორი მ. კუჭუხიძე) მარჯანიშვილის პრემია არგუნა მსახიობს, ხოლო მამაკაცის როლის შესრულებისათვის ა. გელმანის პიესაში „პირისპირ“ (რეჟისორი თ. ჩხეიძე) საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრემია დაიმსახურა.

კიდევ ერთი როლის შესახებ უნდა ითქვას საგანგებოდ — ეს გახლავთ კარენინი (ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა“), რომელსაც ნაკლები აღიარება და გამოხმაურება ჰქონდა, თუმცა ეს ნამუშევარი სპეციალურ მსჯელობას იმსახურებდა. კოტე მახარაძე თავის გმირებს ხელოვნებით არასოდეს კიცხავს და არც ზედმეტად იცავს მათ. კარენინშიც მოძებნა მსახიობმა ისეთი თვისებები, რომლებიც სხვის შესრულებაში ასე თვალნათლივ არ იყო გამოკვეთილი. ეს ეხება კარენინის ანასაღმი დამოკიდებულებას. კარენინი-კ. მახარაძე ცდილობს შეინარჩუნოს ანა, ამისთვის ბევრ დათმობაზე მიდის, რადგან სხვებზე მეტად იცნობს მის პიროვნულ ღირსებებს და აფასებს როგორც ადამიანს.

კოტე მახარაძის პორტრეტი სრულყოფილი არ იქნებოდა, რომ არ გავიხსენოთ მისი, როგორც სპორტული კომენტატორის საქმიანობა. ჩვენ შევეჩვიეთ მიკროფონში კოტე მახარაძის ხმას, ლაპარაკის მანერას, იუმორს, სილაღეს, რაც მის მიერ შექმნილ და განხორციელებულ „სპორტულ სპექტაკლ-რეპორტაჟებს“ თან ახლავს ხოლმე.

ასეთად იცნობენ მსმენელები თუ მაყურებლები კოტე მახარაძეს, ნიჭიერ მსახიობს და არანაკლებ ნიჭიერ კომენტატორს, ლიტერატორს. ამიტომ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთის აზრს, მეტს მიაღწევდა იგი, რომელიმე ერთ გზას რომ გაჰყოლოდა. იქნება სწორედ ასეთ მრავალფეროვნებაშია კოტე მახარაძის ნიჭის ფაისებურება და საყოველთაო პოპულარობა.

ეთერ გალუსტოვა.

— **ასე როგორ შეიძლება?** — ვერიკო ანჯაფარიძის ხმაში საყვედური ისმის, — შენ ხომ ახლა კარენინი უნდა ითამაშო, გულცივი, ანგარიშიანი ადამიანი, შეხედე, დარბაზი უკვე სავსეა, შენ კი ჯერაც არ გაგნელებია ფეხბურთის შთაბეჭდილებები...

მაგრამ კოტე მახარაძეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს რამდენიმე წამში შეუძლია გარდაისახოს.

ასი როლი... მთელი სიცოცხლე სცენაზე: თავიდან რუსთაველის, ახლა კი — მარჯანიშვილის თეატრში.

— **სპორტულ ჟურნალისტიკას** კი შემოხვევით ვეზიარე, — იხსენებს კოტე მახარაძე. — ოცდათიოდე წლის წინათ „დინამოს“ სტადიონზე სახელდახელოდ შეკოწიწებულ მოედანზე თამაშობდნენ საქართველ

მეცნიერება და ტექნიკა:

ძიებანი, აღმოჩენები

ოთხსაჯოვანი მეტეორიტი

ბრძნობა, რომელიც საბჭოთა მეცნიერებს დაეუფლა, როცა დაამთავრეს კაიდუნის სახელწოდებით ცნობილი მეტეორიტის კვლევის პირველი ეტაპი, შეგვიძლია განვსაზღვროთ ორი სიტყვით — გაოცება და სიხარული. მსოფლიო კოლექციაში, რომელშიც სამი ათასამდე „ციური ქვაა“, არ არის არც ერთი, რომელიც თუნდაც ოდნავ მოგვაგონებდეს კოსმოსური სხეულის ამ სრულიად უნიკალურ ნატეხს. თუ ჩვეულებრივ მეტეორიტებს აქვთ მხოლოდ ერთი „სახე“, მათ უცნაურ თანამოძმეს აქვს ოთხი სახე!

— კაიდუნი ჩვენმა სპეციალისტებმა იპოვეს ომენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, — უთხრა საკვლისს კორესპონდენტს სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის გეოქიმიისა და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. ივანოვმა. — გარეგნულად განსაკუთრებით არაფერი გამოირჩევა მეტეორიტი. შავი ფერისაა, იწონის 840 გრამს. თუმცა დამფიქრებელი იყო, რომ მისი დაახლოებით ერთნაირი ზომის ნატეხები, რომლებიც ჩამოვარდნის ადგილას არის აღმოჩენილი, სხვადასხვა წონისა იყო. როცა გამოკვლევა დავიწყეთ, გაოცებული დავრჩით — კაიდუნი აღმოჩნდა... შეუთავსებელი ტიპების მეტეორიტების ნარევი. საქმე ის არის, რომ ჩვეულებრივ სამყაროს თითოეული „შიკრიკი“ შედგება ერთი, ძალიან განსაზღვრული მეტეორიტული ნივთიერებისაგან, ძალიან იშვიათად — ორისაგან. კაიდუნი კი წარმოადგენს ორ სხვადასხვა ნახშიროვანი ქონდრიტის და ორი ასევე სხვადასხვა ენსტატიური ქონდრიტის კონგლომერატს. პირობები, რომლებშიც სხვადასხვა ტიპის მეტეორიტები წარმოიქმნება, დიამეტრულად საწინააღმდეგოა. ნახშიროვანებში ხომ მთელი ნივთიერება მეტად დაჟანგულია, ხოლო ენსტატიურში — აღდგენილი.

დაპურდი, გახდი ყანაო!..

„ამირანი—86“

ჩაიარა ფილმების დემონსტრირების, მაყურებელთან და კოლეგებთან შეხვედრის სიხარულმა, საინტერესო დისკუსიებმა, რომლებიც გაიმართა „ამირანი-86“ ახალგაზრდული ფილმების რესპუბლიკური ფესტივალის დღეებში. უკვე ტრადიციად იქცა საქართველოს კრმკავშირის ცენტრალური კომიტეტის, კულტურის სამინისტროს და კინემატოგრაფისტთა კავშირის თაოსნობით ამგვარი ფესტივალების ყოველ ორ წელეწადში ერთხელ გამართვა თბილისში.

წელს „ამირანი-86“ მეხუთედ მოეწყო. ყიურიმ ნახა ორმოცამდე თემატურად და ჟანრობრივად განსხვავებული ფილმი (ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა პირველი თუ მეორე ნამუშევარი), რომელთაგან ბევრი საგულისხმო, შემოქმედებითი მიგნებით არის აღბეჭდილი.

გარდა მასპინძლებისა, ფესტივალში მონაწილეობდნენ მოსკოველი, ლენინგრადელი და კიეველი ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები.

— თეატრალურმა ინსტიტუტმა ფესტივალზე წარმოადგინა ზაზა ურუშაძის „კატაპლექსია“ და დათო ციწკაძის „შვიდობით, დედა“, ორივე საკურსო ნამუშევარია (ლანა ღოღობერიძისა და ომარ გვასალიას სახელოსნო), აგრეთვე სადიპლომო ფილმები: ალეკო ცაბაძის „ლაქა“ და ნანა ჯანელიძის „ოჯახი“, — გვითხრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის დეკანმა გიორგი დოლიძემ. — ბოლო ორი ფილმი აღზრდის თემას, კერძოდ, პიროვნების ჩამოყალიბებას ეძღვნება. სწორედ თემატიკამ და შესრულების პროფესიულმა დონემ განსაზღვრა მათი წარდგენა ფესტივალზე.

ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო სტუდიაში გადაღებულ ფილმებს სხვა რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა წრეში თუ სტუდენტთა ფესტივალებზე მუდამ გულწრფელი აღიარება ახლავს. ახლახან დასრულდა კიევის ფესტივალი „ახალგაზრდობა-86“, სადაც ჩვენი ინსტიტუტი ამავე პროგრამით იყო წარმოდგენილი და დიდი წარმატებაც ხვდა.

ფესტივალის ყიურის (თავმჯდომარე — მოსკოველი კინოდრეკისორი ალექსი სახაროვი) მთავარი პრიზით დაჯილდოვდა ალ. ცაბაძის ფილმი „ლაქა“; პრიზი სალუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის დაიმსახურა ნ. ჯანელიძის ფილმმა „ოჯახი“ (ამ ფილმში მონაწილეობისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს გადაეცა ფესტივალის ყიურის სპეციალური პრიზი); პრიზი ახალგაზრდული თემის ორიგინალური დამუშავებისათვის ზ. ურუშაძის „კატაპლექსიას“ ხვდა, საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის კი დაჯილდოვდა დავით შუშანია („მთვარეული“, რეჟისორი გ. გიორგობაინი).

— ეს იყო რთული, მაგრამ ფრიად საინტერესო სამუშაო, — თქვა ფესტივალის საზეიმო დახურვისას ალ. სახაროვმა, — პრიზების განაწილებისას ყიურის წევრთა შორის ხშირი იყო კამათი ამა თუ იმ ფილმზე, რაც, თავისთავად, გარკვეული წარმატებაა. იმ ფილმებს შორისაც, რომლებიც არ დაჯილდოვდა, ბევრი იყო საინტერესო. და, ამდენად, ფესტივალის მონაწილე ყველა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტს ვუსურვებდი დიდ შემოქმედებითს წარმატებას.

ჩვენც ვუერთდებით ამ კეთილ სურვილს.

რ. დარჩიაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

„კომუნისტის“ ფოტო-კონკურსი

„ეს ბიჭი კარგად თამაშობს“...

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ნახშირის მტვრისაგან დამზადებული აგური

ნახშირზე არანაკლებ ძვირფასია ამ სათბობის მოპოვების ნარჩენები. კიევის საშენი მასალებისა და ნაწარმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით მათგან შეიძლება ზემტკიცე აგურის მიღება. მარტივი გადამუშავების დროს ახალი ნედლეული, რომელსაც ჯარბად შეიცავენ ტერიკონები, იქცევა შესანიშნავ საშენ მასალად, კერძოდ, ფერმების იატაკისათვის რეცხვად თბოსიაზოლაციო ფილებად, სახურავების შესანიშნავ კრამიტად.

ახლა ყველა ეს გარდაქმნა ხორციელდება სამშენებლო კერამიკის ინსტიტუტის ლაბორატორიაში, სადაც ქვანახშირის მტვრისაგან „აცხობენ“ სხვადასხვა შეფერილობისა და ფორმის მიკროაგურებს. მგრძნობიარე ხელსაწყოები ზედმიწევნით ამოწმებენ მზა ნაწარმის ფორიანობას, მის შეკლებას, სიმტკიცის ზღვარს. ეს მონაცემები სპეციალისტებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ მომავალი საწარმოო პროცესის ყველა საჭირო პარამეტრის პროგნოზირება.

— მასალა, რომლისაგანაც მიღებულია მიკროაგურები, შემადგენლობით შეესაბამება აგურის წარმოებისათვის გამოსაყენებელ ბუნებრივ თიხებს, — თქვა ინსტიტუტის დირექტორმა ს. ბონდარენკომ. — მაგრამ ახალი ნედლეული გამოირჩევა დიდი სიმტკიცით, მოკლებულია პლასტიკურობას, არ ისრუტავს ტენს. სწორედ ამ თვისებებმა განსაზღვრა მისი გადამუშავება-გამოყენების ტექნოლოგია, რომელიც წინანდელთან შედარებით ბევრად უფრო ეკონომიური და ეფექტიანი აღმოჩნდა.

ნახშირშემცველი ნარჩენებისაგან აგურის გამომშვებას ითვისებს ვორონეშოლოგგრადის საშენ მასალათა კომბინატი. პერსპექტივით გათვალისწინებულია ასეთი პროდუქციის დამამზადებელი სხვა საწარმოების მშენებლობაც.

„საცერი“ ნავთობგისათვის

ზეიმლება თუ არა ნავთობისაგან ლითონების გამოყოფა დიდი დანახარჯების გაუწევლად? დადებითად უპასუხეს ამ კითხვას ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის ნავთობისა და ბუნებრივი მარილების ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერებმა. მათ მიერ შემუშავებული ტექნოლოგია ხელს შეუწყობს მავნე მინარევების გარეშე ძვირფასი სახობოისა და ნედლეულის გამოშვებას.

ნავთობი არაერთგვაროვანი პროდუქტია. მთის ქანების ფენებში გაკლისას იგი, როგორც თითქმის ყველა სითხე, „იწოვს“ სხვადასხვა ნივთიერების ნაწილაკებს, მათ შორის ლითონებს. მათი უმნიშვნელო ნარევიც ხომ ბევრ საზრუნავს უჩენს ნავთობგადამშუშავებლებს. მაგალითად, ლტრ ბენზინში მეასედი გრამი ვანადიუმი რომ აღმოჩნდეს, შეიძლება ძრავა გაიფუჭოს. დღემდე ლითონების მინარევებისაგან ნავთობპროდუქტების გაწმენდის ტექნოლოგიები ძვირი იყო და დეფიციტურ რეაგენტებს მოითხოვდა. ამიტომ მეცნიერებმა მთელი თავიანთი სოცადინეობა მოახმარეს ლითონნებისაგან ნავთობის განთავისუფლების უფრო იაფი საშუალების შექმნას.

— ისევე როგორც ქიმიური ელემენტების უმრავლესობა, ლითონებს გარკვეულ პირობებში უნარი შესწევთ დაარღვიონ არსებული კავშირი და რეაქციაში შევიდნენ ადსორბენტ ნივთიერებებთან, — თქვა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ს. ბაკიროვამ. სწორედ მათი ამ თვისების გამოყენება გადაწყვიტეთ. ათობით გასინჯული ნივთიერებიდან ყველაზე შესაფერისი აღმოჩნდა მეტალურგიული წარმოების ნარჩენები და ზოგიერთი სახეობის თიხა. მათში ნავთობის გატარების დროს ვანადიუმს, რომელსაც იგი შეიცავს, მაგნიტივით იზიდავს ეს ელემენტი, ხოლო გაწმენდილი სათბობი გადასამუშავებლად მიდის.

ახალი ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს არათუ გავაუმჯობესოთ ნავთობის მომზადება, არამედ მივიღოთ კიდეც დამატებით მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო ძვირფასი ნედლეული.

(საქინფორმი).

პაველ ხუჭუა



ქართულმა საბჭოთა სამუსიკო კულტურამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 81 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მუსიკათმცოდნე-პედაგოგი, კრიტიკოსი, მუსიკალური ხელოვნების მგზნებარე პროპაგანდისტი, განმანათლებელი და მეცნიერი მკვლევარი, პროფესორი პაველ **ხუჭუა**.

პაველ ვასილის ძე ხუჭუა დაიბადა ქ. ბაქოში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი, ამავე წლიდან განაგრძო სწავლა თბილისის კონსერვატორიაში. ნიჭიერ ახალგაზრდას აუურადღება მიაქცია ზაქარია ფალიაშვილმა, რომლის რჩევით იგი შევიდა ლენინგრადის კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის განყოფილებაზე. 1937 წელს პ. ხუჭუა დაბრუნდა საქართველოში და სოციალის უკანასკნელ დღემდე რაინდულად ემსახურებოდა შობლიერ კულტურას. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად, თბილისის კონსერვატორიის დირექტორის მოადგილედ, საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუსიკალური განყოფილების უფროსად. დიდი სამამული ომის წლებში მისი ინიციატივით და მეცადინეობით გადაწყდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის აღდგენის საკითხი, ჩამოყალიბდა ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივები — ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, სახელმწიფო კვარტეტი.

ეროვნული მუსიკათმცოდნეობის ერთ-ერთ ფუძემდებელს პ. ხუჭუას ეკუთვნის მრავალი შრომა ქართველ კომპოზიტორთა შესახებ. მის მრავალრიცხოვან მონოგრაფიათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომები მელიტონ ბალანჩივაძეზე, ზაქარია ფალიაშვილზე, დიმიტრი არაყიშვილზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შესახებ, ნარკვევები ქართული მუსიკის ისტორიაზე, უძველეს ცივილიზაციათა სამუსიკო კულტურაზე. ეროვნული მუსიკის კლასიკური მემკვიდრეობის პროპაგანდის საქმეში დიდი როლი აქვს შესრულებული მის პოპულარულ გამოცემებს, მათ შორის ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების გრამფირფიტების პირველ ანთოლოგიას „საქართველო ხალხურ სიმღერებში“...

თითქმის 50 წლის მანძილზე თბილისის კონსერვატორიაში პაველ ხუჭუამ აღზარდა ქართველ მუსიკათმცოდნეთა მრავალი თაობა.

ფართო ერუდიციის, ნათელი აზროვნებისა და თანამედროვეობის ცხოველი შეგრძნების მქონე პაველ ხუჭუა ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ მშენებლობაში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითს ცხოვრებაში; იგი ხშირად გამოდიოდა საკონცერტო ესტრადაზე, საქართველოს ფილარმონიისა თუ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორის ტრიბუნიდან, მონაწილეობდა ტელე და რადიოგადაცემებში. ჰაბუკური დაუცხრომლობით უწევდა პროპაგანდას მხატვრული სამართლით აღბეჭდილს ყოველივე მოწინავეს, ნიჭიერს, აქტუალურს. საგანმანათლებო მოღვაწეობის უმაგალითო მასშტაბურობამ მოუპოვა მას ფართო მასების ჭეშმარიტი აღიარება და სიყვარული.

ნაყოფიერი პედაგოგიური, მეცნიერული, პროპაგანდისტული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, მინიჭებული ჰქონდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

კეთილმოსურნე, შრომისმოყვარე, თავმდაბალი მოქალაქისა და მშობლიური სამუსიკო კულტურის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილის პ. ხუჭუას ღვაწლი სამუდამდ დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი; თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია; საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა გამოჩენილი ქართველი მუსიკათმცოდნე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

პაველ ვასილის ძე ხუჭუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაბანელი

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

ლეს თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების მეოცე ევროპელეო საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. გთავაზობთ ბოლოსწინა ორი ტურის შედეგებს: სსრ კავშირი I-იუგოსლავია — 33:15, პოლონეთი-რუმინეთი — 30:19, სსრ კავშირი II-საქართველო — 31:24; რუმინეთი-სსრ კავშირი II — 29:28, იუგოსლავია-პოლონეთი 20:29, საქართველო-სსრ კავშირი I — 21:32.

ბოლო ტურის წინ სსრ კავშირის ნაკრები ქულათა მაქსიმუმით (8) ერთპიროვნული ლიდერია.

დღეს სსრ კავშირის მეორე ნაკრები შეხვდება პოლონელთა კოლექტივს, სსრ კავშირის პირველი გუნდი — რუმინეთისას, საქართველოსი — იუგოსლავიისას.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა უეფას თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩები. ამჯერად მოსკოვის „სპარტაკმა“ სტუმრად ითამაშა — ავსტრიის „სპაროვსკი-ტიროლთან“, დამარცხდა ანგარიშით 0:2 (პირველი შეხვედრა სპარტაკელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0) და შეჯიბრებას გამოეთიშა. ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: ესპანეთის „ბარსელონა“-იურდინგენის „ფაიერი“ (გფრ) — 2:0 (პირველი შეხვედრაც — 2:0), პორტუგალიის „გიმარაეში“-ჰოლანდიის „გრონინგენი“ — 3:0 (პირველი მატჩი — 0:1), შვეიცის „ბეტებორგი“. ბელგიის „გენტი“ — 4:0 (1:0), ბელგიის „ბეგვერენი“-იტალიის „ტორინო“ — 0:1 (1:2), მიონხენგლადბახის „ბორუსია“ (გფრ)-შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“ — 0:0 (0:2), იტალიის „ჰალიდუკი“-შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი“ — 0:0 (0:2). იტალიის „ინტერისა“ და ჩეხოსლოვაკიის „დუკლას“ განმეორებითი მატჩი მოგვიანებით შოეწყობა. პირველი შეხვედრა იტალიელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0. ამრიგად, მეოთხედფინალში გავიდნენ „სპაროვსკი-ტიროლი“, „ბარსელონა“, „გიმარაეში“, „ბეტ ებ ორ გ“, „ტორინო“, „ბორუსია“ და „დანდი იუნაიტედი“. ევროპის თასების გათამაშებათა ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფას თასის მეოთხედფინალური მატჩების მონაწილე გუნდების წილისყრა მოეწყობა 1987 წლის იანვარში —გფრ-ის ქალაქ კელნში.

მალტის დედაქალაქ ლა-ვალეტაში მოეწყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იტალიისა და მალტის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის (მეორე ჯგუფი). გაიმარჯვეს იტალიელებმა — 2:0. ამ ჯგუფში ლიდერობენ შვედები — 5 ქულა (6 შესაძლებლიდან), იტალიელებს 4 ქულა აქვთ (4-დან).

წყალბურთი. ხარკოვში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლო კალენდარული მატჩები იმ კოლექტივებს მონაწილეობით, რომელთა შორის VII-XII ადგილების მფლობელთა ვინაობა უნდა გარკვეულიყო. თბილისის „დინამომ“ წაადგა შეხვედრა ხარკოვის „ლოკომოტივთან“ (9:10), ფრედ ითამაშა ლენინგრადის „ბალტიკასთან“ (7:7), კიევის „დინამოსთან“ კი გაიმარჯვა (7:6). თბილისელებმა საბოლოოდ 25 ქულა დააგროვეს და მეშვიდე ადგილი დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ხარკოვის „ლოკომოტივი“ (23 ქულა), კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის ბაქოელთა გუნდი (21 ქულა), ლენინგრადის „ბალტიკა“ (21), კიევის „დინამო“ (19) და მოსკოვის „ტორპედო“ (2). ბოლო ადგილზე გამოსულ მოსკოველ ტორპედოელთა ნაცვლად მომავალი წლის ჩემპიონატში ითამაშებს შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის სპორტკლუბის გუნდი (სევასტოპოლი).

ხელბურთი. ჰოლანდიაში მიმდინარე ქალთა გუნდებს მსოფლიო ჩემპიონატზე თავის ნახევარფინალურ ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა უნგრელთა კოლექტივი — 19:18, გდრ-ის სპორტსმენებმა მოუგეს იუგოსლავებს — 27:17, ჰოლანდიელებმა — ავსტრიელებს — 22:17. მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში მორიგი კალენდარული მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა: რუმინეთი-ჩეხოსლოვაკია — 21:22, სამხრეთ კორეა-ჩინეთი — 19:19, გფრ-ნორვეგია — 14:19. ნახევარფინალურ ჯგუფებში ბოლო ტურის წინ პირველში 7-7 ქულით ლიდერობენ სსრ კავშირისა და გდრ-ის ხელბურთელები, მეორეში 6-6 ქულით დაწინაურებული არიან ნორვეგიის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

ბადრაკი. მოსკოვში გაიმართა ევროპის საკლუბო გუნდების თასის გათამაშების ორი ფინალური მატჩი ესკასა და „ტრუდის“ ნაკრებ კოლექტივებს შორის. ორი მატჩის ჯამით (8,5:3,5) გაიმარჯვეს არმიელებმა.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა აჭარის ასსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე

იური მიხეილის ძე გოგიბერიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

უსაფრთხო მოძრაობისათვის

მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით 14-24 ნოემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველომ ექსპერიმენტის სახით ჭიათურის, ზესტაფონის, საჩხერისა და თერჯოლის საავტომობილო გზებზე მოაწყო რეიდები, რომლებშიც სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებთან ერთად მონაწილეობდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი ღონისძიებების მიუხედავად, რეიდის მონაწილეებმა მაინც გამოაელინეს მძღოლები, რომლებიც მთვრალი მართავდნენ ავტომანქანებს.

ჭიათურის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი გიორგი ბედინაშვილი, რომელსაც სიმთვრალის გამო ორი წლით აკრძალული ჰქონდა ავტომანქანის მართვა, კვლავ მთვრალი უჯდა საკუთარი მანქანის საჭეს. ასევე მთვრალი მართავდა საკუთარ ავტომანქანას ჭიათურის რაიონული საავადმყოფოს ექიმ-სტომატოლოგი მერაბ ლაბაძე.

მთვრალები უსხდნენ საკუთარი ავტომანქანების საჭეს საჩხერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტექნიკური კონტროლიორი სიმონ არსენიძე, ზესტაფონის მეოთხე სამშენებლო უბნის ინჟინერი მურმან ჭუულუხაძე, ზესტაფონის № 7 სასადილოს გამგე როდამ გიორგაძე, ტყიბულის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მთავარი მექანიკოსი, სკკპ წევრი ნუგზარ ჯანელიძე, თერჯოლის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ბუდუ არაბიძე მთვრალი იყო, მაგრამ ესეც არ იკმარა და უხეში სიტყვებით მიმართა რეიდის მონაწილეებს, ხოლო ამავე ავტოსატრანსპორტო კანტორის მთვრალმა მძღოლმა ანზორ შალამბერიძემ საჭე გადასცა მასზე არანაკლებ მთვრალ მეზობელს პაველ ფანჩუელიძეს.

ამკრძალავ ნიშნებს არ დაემორჩილნენ და სრულიად შეუზღუდავად მიაქროლებდნენ ავტომანქანებს ქუთაისის ცეკვაშირის საავარო ბაზის მუშა დავით დათუნაშვილი, კასპის რაიონის სოფელ მეტეხის მეფრინველეობის ფაბრიკის მძღოლი გიორგი პატარქალიშვილი და ზესტაფონელი გრიგოლ მესხი.

გასწრების წესებს უხეშად არღვევდნენ თერჯოლელი ზურაბ ვერულაშვილი, ჭიათურელი გენრი ვერმანიშვილი, ცხაკაიელი კახაბერ ხაბურნაძია და ქუთაისელი თეიმურაზ გოგიბერიშვილი.

მართვის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ ავტომობილის საჭეს მაინც მართავდნენ თბილისის საავიაციო ქარხნის მუშა ამირან თოდუა, თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერის ავტოპროფილაქტიკის შემკეთებელი გონერი გავაშელაშვილი და სხვები.

რეიდების პერიოდში იკლო მოძრაობის წესების დარღვევებმა და ავტოსაგზაო შემთხვევებიც არ მომხდარა.

რეიდმა ცხადყო, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის საქმეში ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი, პასიურია ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა.

ჰ. შარიქაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ორშაბათი, 15 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დოკუმენტური ფილმი „რუსეთი თხიგე მხრიდან“. 10.30 — სატელევიზიო დადგმა „სათნო მატყუარა“. I-II სერია. 12.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არქტიკის კურსთან“. 13.05 — ტელეკურსელითათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.45 — საქართველოს ისტორია. 17.25 — განცხადებები. 17.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბარკეიმი“. 18.00 — მოსწავლეთათვის. „უჩვეულო გაკვეთილი“ (განმეორებით). 18.20 — დოკუმენტური ფილმი „ხანძარი, მეგობარი და მტერი“. 18.45 — პროფტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეთათვის „მოგითხრობთ პროფესიაზე“ (მექანიზატორი). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — საერთაშორისო დღიური. 21.05 — სატელევიზიო ჩანახატი „ერთგულება“. 21.20 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: მოსკოვის „დინამო“ — თბილისის „დინამო“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მუსიკალური გასართობი პროგრამა „გიბრუნებთ თქვენს პორტრეტს“ (ლენინგრადის ტელევიზიის გადაცემა). 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „სადღაც სტვენს მოლაღური“. 18.30 — განცხადებები. 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მისი მეცხრე მდინარე“.



ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

სამშაბათი, 16 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.50 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 11.20 — სატელევიზიო მუსიკალური კინოკომედია „სიძე და პატარძალი“. 12.25 — დოკუმენტური ფილმი „სიყვარული ისევ მოვა“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ბიბლიოგრაფიტთათვის. ქიმია. 16.05— საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შვეისწავლეთ ინგლისური ენა. 16.55 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. „ვარსკვლავები მინდვრის თავზე“ და „შენ გვერდით“. 17.45 — განცხადებები. 17.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსახიობი ქალი“. 18.30 — რეკლამა. 18.40 — „გზა, კეთილი, საშვილიშვილო“. 19.10 — ჩვენი სადილკუსიო კლუბი. 20.00 — მოამბე. 20.35 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „შენკენ სავალი გზები“ (I მოქმედება): 21.50 — ჩვენი საუკუნე გიცაუს უახლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „შენკენ სავალი გზები“ (II მოქმედება). 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლგარი“. 17.05 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 17.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „წვა“. 18.10 — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია.

ოთხშაბათი, 17 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 მხატვრული ფილმი. 11.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები: „როგორი უნდა იყოს უდაბნო“ და „ცვლილებანი სამკაული“. 12.20 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 12.50— ქართული საესტრადო მელოდიები. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — შვეისწავლოთ გერმანული ენა. 16.50 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაჩანსი“. 17.20 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ლატი“. 17.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეშახტეები“. 18.10 — მოსწავლეთათვის. „2000 მეტრის სიღრმეზე“ (განმეორებით). 18.40 — ლიტერატურული გადაცემა „ფვარლიდან მთაწმინდამდე“. გადაცემა მეოთხე (ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის გამო). 19.10 — მოამბე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — სახელმწიფო მიღება: ხარისხის პრობლემა (მ.). 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — გერმანული მხატვრული ფილმი „ასტა, ჩემო ანგელოზო!“ 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი. 23.30 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: კაუნასის „ჟალგირისი“ — თბილისის „დინამო“. (16 დეკემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალების პოეზია“. 17.05 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 17.50 — დოკუმენტური ფილმი „ლიტვური ხელწერა“ 18.10 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

ხუთშაბათი, 18 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — გერმანული მხატვრული ფილმი „ასტა, ჩემო ანგელოზო!“ 11.30 — დოკუმენტური ფილმი „ენისეის მერიდიანი“. 12.20 — კონცერტი „სცენაზეა ახალგაზრდობა“. 13.00 — ბიბლიოგრაფიათთვის. ქიმია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელითათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები „ზღვა ორი ფსკერით“ და „რამდენი - საიდუმლოებაა შენში, მიწავ“. 17.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კატაევის იუმორესკები“. 18.15 — მოსწავლეთათვის. „წიგნი ჩემი მეგობარი“. 18.45 — განცხადებები. 18.50 — კონცერტი. 19.30 — რეკლამა. 19.40 — სახელმწიფო მიღება — ხარისხის გარანტია. 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ბეჭედი ამსტერდამიდან“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 23.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: დინეეკის „შახტიორი“ — თბილისის „დინამო“ (17 დეკემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი). 23.35 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „მატარებელი გაჩერდა“. 18.10 — მოსწავლ